ნაირა მამუკელაშვილი
ნინო როსტომაშვილი
ელზა გარაყანიძე

მუსიკა

II კლასი

მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი

გამომცემლობა „პეგასი“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

მუსიკა

II კლასის
მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი

ავტორი	ნაირა მამუკელაშვილი ნინო როსტომაშვილი ელზა გარაყანიძე
რედაქტორი	ნათელა თუხარელი
დიზაინერ- დამკაბადონებელი	ინგა ნავროზაშვილი

გამომცემლობა „პეგასი“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 105 467; 597 029 031
ელ.ფოსტა: bookpefasus@gmail.com
www.pegasus.ge

© გამომცემლობა „პეგასი“, 2018
© ნაირა მამუკელაშვილი, ნინო როსტომაშვილი, ელზა გარაყანიძე, 2018

გამოცემის წელი და რიგითობა 2018 წელი
ISBN 978-9941-9113-7-8

მასწავლებლის წიგნის სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 5
შესავალი 6
სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები 7
მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი 11

I თავი. გარე სამყარო მუსიკაში

თემა I. ცხოველები მუსიკაში

გაკვეთილი 1. ცხენი და ვირი 19
გაკვეთილი 2. ცხოველები და ინტონაციები 21
გაკვეთილები 3-5. კატები 23
გაკვეთილები 6-8. სოფლის ეზოში 26
გაკვეთილი 9. შემაჯამებელი 28
გაკვეთილები 10-11. ტყეში და ზოოპარკში 30
გაკვეთილი 12. დათვი და მონადირე 33
გაკვეთილი 13. კურდღელი 34
გაკვეთილი 14. „მუსიკოსი ზღარბი“ 35
გაკვეთილი 15. „წითელქუდა და მგელი“ 37
გაკვეთილები 16-18. მაღალი და დაბალი ბგერები ცხოველთა ინტონაციებში 38
გაკვეთილები 19-20. კატა და მგელი – ვუკრავთ ჩასაბერ საკრავებზე 41
გაკვეთილი 21. ინტონაციები და რიტმები 45
გაკვეთილი 22. შემაჯამებელი 46
გაკვეთილი 23. შობა-ახალი წელი საქართველოში 47
გაკვეთილი 24. შობა-ახალი წელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 48
გაკვეთილი 25. ჩიტები 49
გაკვეთილები 26-30. სოფლის ეზოს ფრინველები 51
გაკვეთილი 31. ტყის ფრინველები 56
გაკვეთილი 32. გუგული 58
გაკვეთილი 33. „ჩიტი – ფლეიტა“ 59
გაკვეთილი 34. „ჩიტისა და ბაბუას დიალოგი“ 61
გაკვეთილი 35. გედი 62
გაკვეთილი 36. „როგორი ხმა აქვს გედს?“ – ჩელო 63
გაკვეთილი 37. ფრინველები ქართულ ლიტერატურასა და მუსიკაში 65
გაკვეთილი 38-40. ფრინველები სხვადასხვა ქვეყნის მუსიკაში 66
გაკვეთილები 41. შემაჯამებელი 69
გაკვეთილი 42. ფუტკარი 71
გაკვეთილი 43. კელა 72
გაკვეთილი 44. მწერები, რომლებიც არ „მღერიან“ 73

გაკვეთილი 45. მწერები ქართულ სიმღერებში – „ჭრელო პეპელა“ 74
გაკვეთილი 46. შემაჯამებელი 75

II თავი. ამინდი და წელიწადის დროები მუსიკაში

თემა II. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში

გაკვეთილები 47-48. შემოდგომა და ზამთარი 77
გაკვეთილი 49. გაზაფხული და ზაფხული 79
გაკვეთილები 50. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული 80
გაკვეთილები 51. საქართველოში მცხოვრები ხალხების ტრადიციები 83
გაკვეთილები 52-53. ბუნებრივი მოვლენები და ამინდი 86
გაკვეთილი 54. დილა 88
გაკვეთილი 55. საღამო 89
გაკვეთილი 56. ღამე 89
გაკვეთილები 57-58. ქარი 90
გაკვეთილი 59. წვიმა და ჭექა-ქუხილი 93
გაკვეთილი 60. შემაჯამებელი 94

III თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა

თემა III. წვეულებები და დღესასწაულები შინ და გარეთ

გაკვეთილი 61. მიმიკები და ჟესტები 96
გაკვეთილი 62. თეატრალური ეტიუდები 97
გაკვეთილი 63. მენუეტი 98
გაკვეთილები 64-65. რიტუალური ცეკვები 98
გაკვეთილი 66. შემაჯამებელი 94

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

მუსიკის II კლასის მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი აგებულია ესგ-ზე დაყრდნობით მუსიკის სტანდარტით გათვალისწინებულ თემატიკაზე. წიგნი მოიცავს სამ თავს: I თავი. გარესამყარო მუსიკაში; II თავი. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში; მუსიკა და ჩვენი ყოფა.

თავების მიხედვით განხილულია ოთხი სასწავლო თემა: 1. ცხოველები მუსიკაში (I თავი); 2. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში (I თავი); 3. წვეულებები და დღესასწაულები შინ და გარეთ (II თავი); მეოთხე თემის – სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა – გაკვეთილები მოცემულია კალენდარული თარიღების შესაბამისად: „შობა-ახალი წელი საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნებში“, განიხილება I სემესტრის ბოლოს, ხოლო „აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული“ – გაზაფხულზე. თემები დაყოფილია გაკვეთილებად.

I თავის I თემა – „ცხოველები მუსიკაში“ მოიცავს 41 გაკვეთილს, აქედან გაკვეთილები 9, 22, 41 გათვალისწინებულია, როგორც I თემის შემაჯამებელი გაკვეთილები. პირველი თემის 24 გაკვეთილი სახელმძღვანელოს მიხედვით დამუშავდება პირველ სემესტრში (პირველი სემესტრის 24-ე გაკვეთილის მომდევნო ოთხი გაკვეთილი გათვალისწენებულია, როგორც თავისუფალი გაკვეთილები). I თემის დანარჩენი 17 გაკვეთილი დამუშავდება მეორე სემესტრის დასაწყისში.

II თავის თემა – „ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში“ – წარმოდგენილია 14 გაკვეთილით (გაკვეთილები 47-60), აქედან გაკვეთილი 60 შემაჯამებელია.

III თავის თემა – წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ – მოიცავს 7 გაკვეთილს (გაკვეთილები 61-67), გაკვეთილი 67 შემაჯამებელია.

სახელმძღვანელოს მიხედვით მეორე სემესტრში გათვალისწინებულია 2-3 თავი-სუფალი გაკვეთილი.

მუსიკის მეორე კლასის მასწავლებლის წიგნში გაკვეთილები წარმოდგენილია აქტივობების სახით, თითოეულ გაკვეთილში ძირითადად მოცემულია 3 აქტივობა. ყოველი აქტივობისთვის განსაზღვრულია წუთების რაოდენობა. წუთების ხანგრძლივობა პირობითია და სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

შესავალი

ადამიანზე, მის გრძნობებსა და განცდებზე მუსიკის ზემოქმედების განსაკუთრებული ძალა უდავოა, ამდენად, მუსიკალური აღზრდა მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. მუსიკის სასკოლო სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო სპეციალური მუსიკალური მონაცემების, ნიჭისა და უნარის მრავალმხრივ განვითარებას, არამედ დადებითი ზემოქმედება მოახდინოს პიროვნების, მისი აზრებისა და შეხედულებების, მისი სულიერი სამყაროს ფორმირებაზე.

მუსიკის, როგორც საგნის, მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დაწყებით საფეხურზე მაშინ, როდესაც ბავშვის ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა-წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით – სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

II კლასის მუსიკის სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მისია:

ა) მუსიკის სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

მუსიკის II კლასის სახელმძღვანელო აგებულია ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით მოსწავლეს უნდა განუვითარდეს/ჩამოუყალიბდეს:

კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი;

ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;

ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;

ენის, როგორც შემეცნების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების გამოყენების უნარი;

ინფორმაციის სხვადასხვა სიმბოლური ნიშნით გამოხატვის უნარი;

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კვლევის უნარები;

ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი;

საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების საფუძველზე არჩევანის გაკეთების უნარი; დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი;

გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის უნარი რისკების გაცნობიერებით;

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი.

სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები

II კლასის მუსიკის სახელმძღვანელო მიზნად ისახავს:

1. უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება;
2. განუვითაროს მოსწავლეს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური სფერო;
3. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ზნეობრივ-ესთეტიკური გრძნობებისა და მუსიკალური გემოვნების ფორმირებას;
4. გამოუმუშავოს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრული ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების დაუფლებას;
5. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში; განუვითაროს მოსწავლეს მუსიკალური სმენა, სასიმღერო უნარ-ჩვევები, რიტმის გრძნობა;
6. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართვას შემოქმედებით მოღვაწეობაში;
7. მუსიკის სფეროში ცოდნის შეძენას, რომლის გარეშე შეუძლებელია მუსიკის აღქმა და მუსიკალური ნაწარმოების შესრულება;
8. შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება მათ საკუთარი თავის შემეცნებასა და საკუთარი ძალებისადმი რწმენის გამომუშავებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში და ა.შ.

სახელმძღვანელო ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული საკითხებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძებასა და განვითარებას, მოსწავლეთა მიზიდვას და მათი საქმიანობის სტიმულირებას, შემოქმედებით პროცესებში მათ აქტიურ ჩართვას. სახელმძღვანელოთი გათვალიწინებული მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შედეგად მოსწავლეებს განუვითარდებათ სასწავლო მასალის ათვისების ზოგადი და სპეციალური უნარ-ჩვევები.

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და მისი გამოყენების წესი. კომპლექტაციის შედგენილობისა და გამოყენების ზოგადი მითითებები

II კლასში მუსიკის, როგორც საგნის, სწავლებაში არ არის გათვალისწინებული მოსწავლის წიგნი და მოსწავლის სამუშაო რვეული, ამდენად, მასწავლებლის წიგნს უნივერსალური ფუნქცია ეკისრება. მასში დეტალურად არის გაწერილი ყოველი გაკვეთილის მსვლელობა. იმისათვის, რათა გაკვეთილებზე უზრუნველვყოთ თვალსაჩინოების გამოყენება, მასწავლებლის წიგნს დართული აქვს ფერადი დანართი ილუსტრაციების სახით. დანართში მითითებულია, რომელ გაკვეთილზე რომელი ილუსტრაცია უნდა იქნეს გამოყენებული. მასწავლებელს შეუძლია ილუსტრაციებზე იმუშაოს უშუალოდ დანართის გამოყენებით ან დანართიდან დაამზადოს ქსეროასლები მოსწავლეთათვის დასარიგებელი მასალის სახით. სახელმძღვანელოს ახლავს აგრეთვე აუდიო და ვიდეომასალა, რომლებიც თავმოყრილია ყოველი შესაბამისი გაკვეთილისათვის გამიზნულ ელექტრონულ

საქაღალდეში. საქაღალდეები დანომრილია და დასათაურებულია გაკვეთილების მიხედვით. ყოველი გაკვეთილის საქაღალდის გახსნის შემთხვევაში მასწავლებელი ნახავს აუდიო და ვიდეომასალას ამავე გაკვეთილის აქტივობების შესაბამისად.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში. საგნის სწავლებისა და დავალებების შესრულებისას გასათვალისწინებელი სამიზნე ასაკის თავისებურებები

ყოველი მოსწავლე უნიკალურია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს; სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე დაფასებული და აღიარებულია, მით უმეტეს იმ პერიოდში, როდესაც უმცროსი ასაკის ბავშვის ცხოვრებაში ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორიცაა სწავლის დაწყება. ამ ასაკის მოსწავლის სწავლების წარმატებით წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მისი ფსიქიკური განვითრების კანონზომიერებების გათვალისწინება. ბავშვთა ემოციური და გონებრივი თავისებურებების, მათი მიდრეკილებებისა და ინეტერესების ცოდნა ეხმარება მასწავლებელს დაამყაროს კონტაქტი მოსწავლესთან, წარმართოს მათი განვითარება, ხელი შეუწყოს და განავითაროს მოსწავლის ყველა საუკეთესო თვისება, თავიდან აიცილოს მრავალი შეცდომა მათი სწავლებისა და აღზრდის საკითხში, რაც დიდ გავლენას მოახდენს ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე.

ამ ასაკის ბავშვი ფიზიკურად ენერგიულია, აქვს ჭარბი ენერგია, მაგრამ მისი ზრდის პროცესი არათანაბრად მიმდინარეობს, ამიტომ არ შეუძლია დიდხანს შეასრულოს დაძაბული ფიზიკური აქტივობა. მას სჭირდება დასვენების პერიოდები, ამასთან, სასწავლო საქმინობა მოითხოვს კარგად განვითრებულ ყურადღებას. ბავშვს უნდა შეეძლოს, წარმართოს ყურადღება სასწავლო ამოცანაზე, გარკვეული დროით შეინარჩუნოს ინტენსიური ყურადღება, გადაიტანოს ყურადღება ერთი ობიექტიდან მეორეზე. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ნებისმიერი ყურადღება, სამაგიეროდ კარგად აქვს განვითარებული უნებლიე ყურადღება, ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, უჩვეულო და ნათელი ადვილად ექცევა მისი ინტერესის სფეროში. მათ არ შეუძლიათ ყურადღების წარმართვა დიდხანს ერთი მიმართულებით. თუ სამუშაო მონოტონურია, ბავშვი ვერ ასრულებს დავალებას, ამიტომ მუსიკის გაკვეთილების მსვლელობის დროს აუცილებელია საკლასო აქტივობები აიგოს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების გათვალისწინების გარდა, საშუალებას იძლეოდეს, მოსწავლე გადაერთოს სხვა ტიპის საქმიანობაზე, რათა არ მოხდეს მისი ინტერესების, აქტიურობისა და ყურადღების დაქვეითება. საჭიროა გონებრივი აქტივობის ჩანაცვლება პრაქტიკული აქტივობებით (მოთელვითი სავარჯიშოები, სიმბოლოების ხატვა, სიმღერა, მუსიკალურ-რიტმული სავარჯიშოები, როლური თამაშები, ვერბალური და მუსიკალური ინტონაციური სავარჯიშოები და სხვ.). ყურადღებისა და აქტიურობის შენარჩუნებისთვის, ბავშვის აქტივობის ორგანიზებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია ისეთი მოტივაციების გამოყენება, როგორებიცაა: მასწავლებლის მიერ ბავშვის შექება დავალების კარგად შესრულების გამო, დადებითი, განმავითარებელი შეფასების გამოყენება.

უმცროსი ასაკის მოსწავლეებს ძალიან უყვართ თამაში. ამიტომ ხელოვნების რთული, აბსტრაქტული დარგის – მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, სწავლება უნდა მიმ-

დინარეობდეს მცირე დოზირებით, საკლასო აქტივობებში ისეთი მუსიკალური თამაშების უხვი გამოყენებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ახალი კონკრეტული ჩვევების დაუფლებაში.

II კლასის მოსწავლის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვი ხანდახან ურევს მსგავსი მოხაზულობის მქონე ობიექტებს. ბავშვი აღიქვამს ნიშნის, სიმბოლოს ზოგად გამოსახულებას. მათი აღქმა განისაზღვრება, პირველ რიგში, თვითონ ობიექტის მახასიათებლებით, ბავშვები ამჩნევენ საგნის თვალშისაცემ მკვეთრ თვისებებს (ფერი, ფორმა, ზომა). ამასთან, მათთვის დამახასიათებელია თვალსაჩინო – ხატოვანი მეხსიერება. ბავშვები უკეთესად იმახსოვრებენ კონკრეტულ საგნებს, მოვლენებს, სახეებს, ვიდრე განმარტებებსა და ახსნას. ამიტომ სასწავლო მასალის უკეთ დასამახსოვრებლად მუსიკის სწავლებისას გამოყენებული უნდა იქნეს დიდი რაოდენობით თვალსაჩინო მასალა. ამდენად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია მუსიკის მეორე კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოსათვის სწორად იყოს შერჩეული თვალსაჩინო მასალა: ნახატები და სურათები, რომლებსაც მასწავლებელი გამოიყენებს გაკვეთილებზე, რაც მნიშვნელოვანწილად დაეხმარება მოსწავლეებს აღქმის ორგანიზებასა და განვითარებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველია მუსიკის გაკვეთილებზე ხშირად მივმართოთ ისეთ აქტივობებს, როდესაც მოსწავლეები თავად შეეცდებიან კონკრეტული სიმბოლოების სახით, ნახატით გამოხატონ თვალით უხილავი, მოსმენილი აბსტრაქტული სახე-ხატები.

ძალზე მნიშვნელოვანია უმცროსი ასაკის მოსწავლეთა აღქმის დაკავშირება მოქმედებასთან, აღქმა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლის პრაქტიკულ საქმიანობას. მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, აღქმა ბავშვისათვის უნდა ნიშნავდეს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რაღაცის შეცვლას, კეთებას. ამიტომ მუსიკის სწავლებისას გაკვეთილზე დიდი დრო უნდა დაეთმოს პრქტიკულ მოქმედებას, ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორებიცაა: სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მათი თანმიმდევრობით დალაგება, მსგავსება-განსხვავების პოვნა, სურათების მისადაგება მოსმენილ აბსტრაქტულ მუსიკალურ სახე-ხატებთან; ზღაპრების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, მოსმენილი ზღაპრებისა და მოთხრობების საკუთარი და სხვადასხვა ნივთის ხმებით გახმოვანება და გაფორმება.

ცნობილია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა შეიძლება ადვილად დაიმახსოვროს ობიექტურად აზრიანი, მაგრამ მისთვის გაუგებარი სიტყვები, ფრაზები. ამის მიზეზია უცნობი სიტყვების ჟღერადობისადმი მისი ემოციური დამოკიდებულება. მეორე კლასის ბავშვების მეხსიერების წამყვანი ფორმებია ემოციური და თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება. ამიტომ მუსიკის გაკვეთილებზე ისინი არ უნდა გადავტვირთოთ მუსიკალური ტერმინოლოგიის რთული განმარტებებით, უმჯობესია საკლასო აქტივობები ისე წარვმართოთ, რომ თვალში საცემი, მათთვის ნათლად გასაგები პრაქტიკული საქმიანობით ადვილად და მყარად დაიმახსოვრონ საინტერესო მასალა, რომელმაც პრაქტიკული საქმიანობის პროცესში მათზე ემოციური ზეგავლენა მოახდინა.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს გააჩნიათ ლოგიკური აზროვნების ნიშნები, ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ მუსიკის გაკვეთილებზე მეცადინეობისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას, რადგან 7-8 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების განვითარება მიმდინარეობს კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ.

7-8 წლის ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი. ბავშვს არ შეუძლია შეხედოს საკუთარ თავს სხვისი პოზიციიდან. ეგოცენტრიზმი არ აძლევს მას სა-

შუალებას, გაიგოს სხვისი გამოცდილება, რომელიც ვერბალურად არის გამოთქმული. ამდენად, ეგოცენტრიზმის დაძლევაში მუსიკის გაკვეთილებზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ზღაპრის მოყოლა და მისი გაფორმება სხვადასხვა მოქმედების გამომხატველი ხმებით, როლური თამაშები და ურთიერთობა თანატოლებთან, სადაც მან თანაფარდობაში უნდა მოიყვანოს საკუთარი და სხვისი პოზიცია.

II კლასის ბავშვის მეტყველების სემანტიკური მხარე შედარებით ღარიბია. სიტყვების მნიშვნელობას აკლია სიზუსტე, ხან ძალიან შევიწროებულია, ხან ზედმეტად ფართო. ბავშვებს სიტყვები ესმით პირდაპირი მნიშვნელობით. ამდენად, მუსიკალური ფრაგმენტების დახასიათებისას უმჯობესია მოსწავლეებს შევთავაზოთ სიტყვათა ჩამონათვალი, რომელთა შორისაც მუსიკალური ფრაგმენტების დახასიათებისათვის ისინი შეარჩევენ მათთვის მისაღებ სიტყვებს.

უმცროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა ფანტაზიაც განიცდის ცვლილებებს. მათთვის თავიდან დამახასიათებელია ფანტაზიის პასიური ფორმა (წაკითხულის ან მოსმენილის საფუძველზე წარმოდგენის შექმნა), ხოლო შემდეგ ვითარდება ფანტაზიის აქტიური ფორმა (ქმნის ახალ წარმოდგენას). ფანტაზიის განვითარების მაღალი დონის მისაღწევად მუსიკის გაკვეთილებზე ხშირად უნდა მივმართოთ ისეთ აქტივობებს, როდესაც მათ საშუალება ეძლევათ დაასრულონ მათთვის უცნობი ზღაპარი თუ მოთხრობა. გაიმღერონ მუსიკალური მოტივები, შემდეგ კი განაგრძონ და განავითარონ მელოდია...

უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება არა მხოლოდ შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები, არამედ იქმნება ახალი პირობები ბავშვის პიროვნული ზრდისთვის. პიროვნულ ზრდაზე გავლენას ახდენს სასწავლო და თამაშის სიტუაცია, შრომითი აქტივობა და ურთიერთობები. 7-8 წლის ასაკში ბავშვი სოციალურად მეგობრულია. მას უყვარს ჯგუფურ აქტივობებში და თამაშებში მონაწილეობა. ამდენად, ჩვენი მუსიკის II კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოში ხშირად მივმართავთ აქტივობებს ჯგუფებისა და რიგების მონაწილეობით. ეს ავითარებს თანამშრომლობის გრძნობას, ამასთან, ბავშვი უფრო თვითდაჯერებული ხდება, ვინაიდან მისი ცალკეული წარუმატებლობები ზოგად ფონზე ნაკლებად შესამჩნევია.

მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ვერბალური და არავერბალური (სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარის განვითარებაზე; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგ., სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარის განვითარებაზე.

მუსიკის II კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით გაკვეთილებზე დასახული მიზნების განხორციელება შესაძლებელია მუსიკის გაკვეთილებზე მრავალფეროვანი აქტივობის განხორციელების შედეგად: სიმღერების შესწავლა, ვოკალური, რიტმული ან სხვა ტიპის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება; მოსწავლეები განივითარებენ სასწავლო მასალის ათვისების უნარს, ზოგად და სპეციალურ უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილებზე მოსწავლეები მოისმენენ ხალხური და კლასიკური მუსიკის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ისაუბრებენ და იმსჯელებენ მოსმენილი მასალის შესახებ; მუსიკის გაკვეთილებზე მოხდება მოსწავლეთა ინტერესისა და შემოქმედებითი საწყისის გაღვიძება.

უნარ-ჩვევები. მუსიკის გაკვეთილებზე სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობების შედეგად მოსწავლეები შეიძენენ სხვადასხვა სახის სპეციალურ უნარ-ჩვევებს:

1. **მუსიკის მოსმენის უნარ-ჩვევები.** დღევანდელი მოსწავლე მომავალში უნდა გახდეს მსმენელი, (რომელმაც უნდა გამოხატოს, ინტერესი მუსიკალური ხელოვნების მიმართ და გამოავლინოს გემოვნება ამ მიმართულებით). ჩვენ მოსწავლეებს, მომავალ მსმენელებს, უნდა შეეძლოთ იმ მრავალფეროვან მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც ჩვენ გარშემო ისმის, გამოარჩიონ ყველაზე ღირსეული, სათანადოდ შეაფასონ და მიიღონ სიამოვნება მისი მოსმენით.
2. **საშემსრულებლო ხელოვნების უნარ-ჩვევები (სოლო და გუნდური სიმღერა, მუზიცირება და ინსცენირება).** ამ დროს ინტენსიურად ვითარდება მუსიკალურ-შემოქმედებითი მონაცემები, ფართოვდება მუსიკის აქტიური აღქმის შესაძლებლობები. მოსწავლეებს უვითარდებათ იმპროვიზაციის უნარ-ჩვევები.

მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მუსიკის სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობა საგანთაშორის კავშირებს, სახელმძღვანელო აგებულია ინტეგრირებული სწავლების პრინციპებზე.

სახელმძღვანელო უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ წყვილებსა და ჯგუფურ მუშაობაში.

მუსიკის, როგორც სასკოლო საგნის, სწავლებისათვის მასწავლებელმა აქტიურად უნდა გამოიყენოს ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული პროგრამები: LMMS და AUDACITI. აუცილებელია აგრეთვე მასწავლებელმა აქტიურად გამოიყენოს აუდიო/ვიდეომასალა, რომლებიც წარმოდგენილია ყოველი გაკვეთილის ცალკეული აქტივობებისათვის;

მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

სახელმძღვანელოს თავები წარმოდგენილია თემების სახით, თემები კი, თავის მხრივ, მოიცავს გაკვეთილებს. თემის ფარგლებში წარმოდგენილი გაკვეთილების საშუალებით თანმიმდევრულად ხორციელდება შესწავლის მოტივაციის შექმნა, მასალის ათვისების შუალედური შემოწმება/შეფასება, შემაჯამებელი დავალებებით თემის სრული მასალის შეჯერება, მოსწავლეთა თვითშეფასება.

მასალის ათვისების შემოწმება/შეფასების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელების მიზნით სახელმძღვანელო ეყრდნობა ესგ-ის მოსწავლის შეფასების სისტემას (თავი VII.)

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მუხლი 29. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.

მუხლი 31. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

მუხლი 31. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

2. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

შეფასება მუსიკაში

საგან მუსიკაში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც ავთენტური შეფასების პრინციპებს ემყარება. საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

1. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა: მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;

ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას	კომპოზიციის შექმნისთვის შეუძლია მხოლოდ საჭირო ნაწილების გამოყენება.	მოიძებული მუსიკალური კომპოზიციის ნაწილებით ქმნის დაუსრულებელ კომპოზიციას.	მრავალფეროვანი მოძიებული მასალებით ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას. შექმნის პროცესში იყენებს შესაბამის კომპიუტერულ პროგრამას, ბიტებს, სხვადასხვა ეფექტსა და ინსტრუმენტს. იმპროვიზირებს.

ქმნის მუსიკალურ თანხლებას	მუსიკალური თანხლების შესაქმნელად არჩევს ინსტრუმენტებს.	მუსიკალური თანხლების შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, შეუძლია მცირედი ეფექტების გამოყენება.	მუსიკალური თანხლების შექმნისას იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს, იმპროვიზაციას, რთავს სხვადასხვა ინსტრუმენტს, ეფექტს.
მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა	ლოგოტიპის შექმნისას იყენებს მხოლოდ ერთ სიმბოლოს.	მუსიკალური ლოგოტიპის შექმნისას იყენებს ორ, სამ სიმბოლოს.	მუსიკალური მრავალფეროვან სიმბოლიკის გამოყენებით ქმნის ლოგოტიპს.

2. საკლასო აქტივობებში ჩართულობა

აქტიური მონაწილეობა	საგაკვეთილო პროცესში იშვიათად მონაწილეობს მსჯელობაში.	ხშირად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში და მეტნაკლებად ერთვება მსჯელობაში.	მაქსიმალურად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და ყოველთვის მონაწილეობს მსჯელობაში.
საკუთარი აზრის დასაბუთბულად წარმოდგენა	უჭირს გამართულად საუბარი, ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს საკუთარ აზრს.	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას.
სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება	არ უსმენს სხვებს და არ აცდის აზრის დასრულებას.	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამთავრებას.	უსმენს სხვების მოსაზრებებს. კორექტულია და ამჟღავნებს პატივისცემას სხვისი აზრის მიმართ.

3. იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონ-აციის სხვადასხვა ვარიანტის შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;

იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება	შეუძლია მხოლოდ ერთი მოტივის გამოყენება. ვერ ასრულებს მრავალფეროვან სავარჯიშოებს.	შეუძლია ორი ან სამი მოტივისა და ინტონაციის გამოყენება სხვადასხვა სავარჯიშოს შესრულებისას.	მრავალფეროვანი მოტივებისა და სხვადასხვა ინტონაციის გამოყენებით ქმნის იმპროვიზაციულ სავარჯიშოებს.

იმპროვიზაციული სავარჯიშოების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება	მხოლოდ ერთი მოტივის გამოყენებით შესრულებულ სავარჯიშოს ვერ ასრულებს სხვადსხვა კონტექსტში.	რამდენიმე მოტივის გამოყენებით შესრულებლ სავარჯიშო იყენებს სხვადასხვა კონტექსტში.	მრავალფეროვანი მოტივებისა და სხვადასხვა ინტონაციის გამოყენებით შექმნილ სავარჯიშოებს იყენებს სხვადასხვა კონტექსტში/ იმპროვიზირებს.

მოსწავლეზე ინდივიდუალური დაკვირვების წარმოების სარეკომენდაციო ფორმა

სახელი	
გვარი	
კლასი II	
თავი **I** გარე სამყარო მუსიკაში	***თემა:*** ცხოველები მუსიკაში
თარიღი	
დავალების პირობა	მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების შექმნა;
კრიტერიუმი	***კომენტარი***
ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას	მრავალფეროვანი გახმოვანებული ხმებით შექმნა მუსიკალური კომპოზიცია. შექმნის პროცესში გამიყენეა ხმის სხვადასხვა ეფექტები და იმპროვიზირება.

ჯგუფური მუშაობის დაკვირვების ჩანაწერების დაფა

კლასი

თარიღი

თემა

ჯგუფის №	№	მოსწავლის გვარი და სახელი	მზაობა ჯგუფური მუშაობის პირველ.		ჯგუფური სამუშაოს წარმართვა.		თანამშრომლობა		ხმების ხმირად და დროიულად მეხრეულება		კომენტარი
1	1										
	2										
	3										
	4										
	5										
	6										
2	7										
	8										
	9										
	10										
	11										
	12										
3	13										
	14										
	15										
	16										
	17										
	18										
4	19										
	20										
	21										
	22										
	23										
	24										
5	25										
	26										
	27										
	28										
	29										
	30										
	+	**ჩართულია**									
	-	**არ არის ჩართული**									
	V	**გააუმჯობესა** ჩართულობა									

II კლასის სახელმძღვანელოს თემატური ბლოკები მოიცავს: წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე თემის მასალის შესასწავლად, თემატურ ჭრილში დამყარებულია მჭიდრო კავშირი სხვა სასწავლო საგნებთან (სხვა საგნებში ნასწავლ მასალასთან) და პრაქტიკულ საკითხებთან/ყოველდღიურ ცხოვრებასთან;

რადგან მეორე კლასში არ არის გათვალისწინებული მოსწავლის მუსიკის სახელმძღვანელო, რის გამოც მასწავლებლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ყველა გაკვეთილის სარეკომენდაციო სცენარი (მათ შორის სხვადასხვა ტიპის გაკვეთილი), ასევე სხვადასხვა სახის შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და მოსწავლის შეფასების მექანიზმები. მასწავლებლის სახელმძღვანელოს ახლავს ელექტრონული ფერადი დანართი,

რომელშიც თავმოყრილია თვალსაჩინო მასალა, რომლებსაც მასწავლებელი გამოიყენებს გაკვეთილების ცალკეულ აქტივობებზე.

გაკვეთილების სარეკომენდაციო სცენარები მოიცავს:

გაკვეთილის თემის მიზნებს ესგ-ის სტანდარტის შედეგთან/შედეგებთან მჭიდრო კავშირში ინდიკატორების მითითებით;

აქტივობებსა და შესაბამის რესურსებს, გაკვეთილის ორგანიზების ფორმებს;

ტიპურ დავალებებს, მრავალფეროვან სავარჯიშოებს, რომლებიც წარმოდგენილია განვითარებისა და გართულების გზით.

ესგ-ს შესაბამისად, მუსიკის მეორე კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით მუსიკის სწავლება ორი მიმართულება იშლება და მიმდინარეობს პარალელურად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში:

1. **შემოქმედებითობა და პრაქტიკა;**
2. **მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.**

1. შემოქმედობითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარე სამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა – მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც – ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისს მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს – განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას – ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს – სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება – მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობისას მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთანხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია, მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) – აკეთებდეს აუდიოჩანაწერს; აუდიო და

ვიდეოინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აჟღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას – მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულ და მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

I თავი. გარე სამყარო მუსიკაში

თემა I. ცხოველები მუსიკაში

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები.

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ ახასიათებენ სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერაში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რა სიმბოლოებით შეიძლება ცხოველის ხმის ან მოძრაობის ამსახველი ინტონაციის ან მოტივის აღნიშვნა? მუს.დაწყ.(I).3.

გაკვეთილი 1. ცხენი და ვირი

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, რეგისტრი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი ცხოველის ხმის აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რა სიმბოლოებით შეიძლება ცხოველის ხმის ამსახველი ინტონაციის აღნიშვნა? მუს. დაწყ.(I).3.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა, ფანქრები, საწერი ფურცლები, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (დაახლ 5 წთ.).

სავარჯიშო ტარდება ერთ რიტმში. მასწავლებელი არ აჩერებს სავარჯიშოს მაშინაც კი, როდესაც კლასი არცთუ ისე ზუსტად იმეორებს მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ აქტივობებს. მასწავლებელი მოსწავლეებს რიტმში უმღერის მარტივ მოტივს, რომელიც შედგება ორი ინტონაციისგან, მაგ., „მე-ეე“, „აუ-აუ“, („მე-ეე“, მაღალ და „აუ-აუ“, დაბალ რეგისტრში). მოსწავლეები იქვე იმეორებენ.

მე	–	ეე,	აუ	–	აუ.....
ერთი,		ორი,	სამი,		ოთხი.....

მასწავლებელს შეუძლია დაურთოს სხვადასხვა ჟესტი, რომელიც მიუთითებს ზომაზე ან რეგისტრზე. მაღალ რეგისტრში გამღერებული მოტივის დროს მასწავლებელი ხელს წევს ზემოთ, დაბალ რეგისტრში გამღერებული მოტივის დროს – ხელს წევს ქვემოთ. სავარჯიშოს დასრულებისას, მასწავლებელი ეკითხება კლასს, თუ რას ამსგავსებენ მოსწავლეები იმ მოტივებს, რომლებიც მათ ამ სავარჯიშოში წაიმღერეს (პასუხი: ცხოველების ხმებს). მასწავლებელი უცხადებს კლასს: „სწორედ ცხოველების ხმებზე ვისაუბრებთ ამ გაკვეთილზე“.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ცხოველების შესახებ. იგი ეკითხება მათ: გინახავთ ცხოველები? სად გინახავთ? გყავთ ოჯახში ცხოველები? გიყვართ ისინი? შეგიძლიათ დაასახელოთ ეს ცხოველები? რაში ეხმარებიან ცხოველები ადამიანებს? რა ეწოდება იმ ცხოველებს, რომლებიც ადამიანებს ჰყავთ სახლში, ეზოში? (პასუხი: შინაური ცხოველები). მოსწავლეები დაასახელებენ შინაურ ცხოველებს და მასწავლებლის თხოვნით გაახმოვანებენ მათ ხმებს ხმაბაძვითი სიტყვებით. მასწავლებელი აგრძელებს კითხვების დასმას: კიდევ როგორი ცხოველები არსებობენ? ჩამოთვალეთ ცხოველები, რომლებიც ადამიანებს არ ჰყავთ სახლში ან ეზოში? (პასუხი: გარეული ცხოველები). მოსწავლეები ჩამოთვლიან მათთვის ცნობილ გარეულ ცხოველებს და მასწავლებლის თხოვნით ხმაბაძვითი სიტყვებით შეძლებისდაგვარად გაახმოვანებენ მათ ხმებს.

მასწავლებელი დაფაზე დახაზავს ცხრილს და მოსწავლეების კარნახით შეავსებს:

შინაური ცხოველები	გარეული ცხოველები
1	1
2	2
3	3

აქტივობა 2(10 წთ.).

მასწავლებელი არეულად მოასმენინებს მოსწავლეებს 4 ხმას. ორი შინაური (ცხვარი,ძაღლი) და ორი გარეული (მგელი, დათვი) ცხოველის ხმების აუდიოჩანაწერს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელია შინაური და რომელი გარეული ცხოველების ხმები. ვთხოვოთ მოსწავლეებს გაახმოვანონ ეს ხმები.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორ სურათს – ვირი და ცხენი (იხ. დანართი, გვ.1), ესაუბრება ამ ცხოველების შესახებ: რაში ეხმარებიან ისინი ადამიანებს, უნახავთ თუ არა ეს ცხოველები. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები გაახმოვანებენ ამ ცხოველების ხმებს. შემდეგ მასწავლებელი მოასმენინებს ორ მუსიკალურ ფრაგმენტს: **1. სენ-სანსი, „ვირი“ („ცხოველთა კარნავალიდან“), 2. შუმანი, „მამაცი მხედარი“.** მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელ ცხოველს რომელი ფრაგმენტი განასახიერებს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა ხერხით აღწერენ კომპოზიტორები ცხოველებს – ვირს და ცხენს: გარეგნობის, ხმის თუ ქცევის მიხედვით? (ვირი – ხმის მიხედვით, ცხენი – ქცევის მიხედვით). როგორია ვირის ხმის ინტონაცია, აღმავალი თუ დაღმავალი? როგორია ცხენის ფლოქვების ხმა და რიტმი? მოსწავლეები ახმოვანებენ ვირის ხმის ინტონაციას და ხელის მოძრაობით მიანიშნებენ ბგერების მიმართულებას. შემდეგ მოსწავლეები თავიანთ რვეულებში ჩახატავენ ვირის ხმის სიმბოლოს.

გაკვეთილი 2. ცხოველები და ინტონაციები

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რიტმული ფიგურაცია

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა ხმა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი ცხოველთა ხმის აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა, ვიდეომასალა, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

აქტივობა მიმართულია გარკვეული ინტონაციის გააზრებასა და ამოცნობაზე. (ინტონაცია ამ შემთხვევაში ნიშნავს ხმის მოძრაობას). მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: დღეს ჩვენ ვივარჯიშებთ ინტონაციების გამღერებაში, ჩავატარებთ ინტონაციურ სავარჯიშოებს. პირველი სავარჯიშო ჩატარდება წყვილებში. თითო წყვილმა უნდა შეასრულოს თითო კითხვა – პასუხი. თამაშის წესი არის შემდეგი: კითხვა სრულდება ბოხი (დაბალი) ხმით, პასუხი – წვრილი (მაღალი) ხმით. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: თქვენ უნდა გაიმღეროთ კითხვა-პასუხის ინტონაციები. გამღერებისას ხელი უნდა დაიხმაროთ, დაბალი, ბოხი ბგერის გამღერებისას – ხელი მკერდთან, მაღალი, წვრილი ბგერის გამღერებისას – ხელი თავთან. სახელმძღვანელოში მოცემულია მხოლოდ კითხვები, პასუხები დამოკიდებულია მოსწავლეებზე. მასწავლებელი ცალ-ცალკე ფურცლებზე დაწერს კითხვებს და დაურიგებს წყვილებს:

1. – რა გქვია? –
2. – რა გვარის ხარ? –
3. – რამდენი წლის ხარ? –
4. – რომელ კლასში სწავლობ? –
5. – რომელ ქალაქში/სოფელში ცხოვრობ? –
6. – რომელ ქუჩაზე ცხოვრობ? –
7. – რა არის შენი საყვარელი საქმიანობა? –
8 – რა არის შენი ოცნება? –
9. – გყავს შინაური ცხოველი? –
10. – რა ჰქვია შენს შინაურ ცხოველს? –
11. – შენ თვითონ უვლი თუ სხვებიც გეხმარებიან? –
12. – ასეირნებ შინაურ ცხოველს, თუ გეზარება?

(**შენიშვნა.** ბოლო სამი კითხვა უნდა დავუსვათ ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც ჰყავთ შინაური ცხოველები. ამ მიზნით მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მიმართავს მოსწავლეებს, ასწიონ ხელი, ვისაც ჰყავს სახლში შინაური ცხოველი. მოსწავლეები ხელის აწევით დააფიქსირებენ პასუხს. მასწავლებელი სთხოვს მათ, დაასახელონ, რომელი შინაური ცხოველი ჰყავთ).

სასურველია, რაც შეიძლება მეტი წყვილი ჩავრთოთ თამაშში. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლეებმა გაითამაშონ ყველა კითხვა-პასუხი. მოსწავლეთა დაინტერესების შემთხვევაში ან თუ კლასში წყვილთა რაოდენობა 12-ზე მეტია, მასწავლებელს შეუძლია მოიფიქროს სხვა კითხვებიც.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი დაასახელებს ორ შინაურ ცხოველს, რომელთა სახელწოდებები სხვადასხვა რაოდენობის მარცვლისაგან შედგება და ამ სახელწოდებებისაგან შეადგენს რიტმულ ფიგურაციას: მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ამ ცხოველების სურათებს: – ცხენი, კამეჩი (იხ. დანართი, გვ.1). ყურადღებას გაამახვილებს კამეჩის სურათზე, რადგან შესაძლებელია მოსწავლეებს არ ჰყავდეთ ნანახი ეს ცხოველი და არაფერი იცოდნენ მის შესახებ. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეუდგება რიტმული ფიგურაციის შესრულებას:

მასწავლებელი რიტმულად დაუკრავს ტაშს (მახვილით გამოყოფს ძლიერ დროს) და თითოეულ ტაშზე დაასახელებს თითო ცხოველს, მოსწავლეები შეუჩერებლად აჰყვებიან მასწავლებლის ტაშს და სიტყვებს. გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი ააჩქარებს ან შეანელებს ტემპს. მოსწავლეები აჰყვებიან მას.

ერთი, ორი, ერთი, ორი...
ცხენი, კამეჩი, ცხენი, კამეჩი...

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ცხოველების სახელწოდებები გაიმღერონ რაიმე ინტონაციით. ორმარცვლიანი სიტყვა – ორბგერიანი ინტონაციით: პირველი ბგერა დაბალი, მეორე – მაღალი. შემდეგ პირიქით: პირველი ბგერა მაღალი, მეორე დაბალი და ხელის მოძრაობით მიანიშნონ ხმის მოძრაობის მიმართულება. მოსწავლეებმა სამმარცვლიანი სიტყვა უნდა გაიმღერონ სამბგერიანი ინტონაციით: დაბალი-მაღალი-დაბალი, შემდეგ პირიქით: მაღალი-დაბალი-მაღალი.

მასწავლებელი კვლავ რიტმულად დაუკრავს ტაშს (მახვილით გამოჰყოფს ძლიერ დროს) და მოსწავლეებმა ამჯერად უნდა გაიმღერონ ის ინტონაციები (ორბგერიანი და სამბგერიანი), რომლებიც შეურჩიეს ცხოველებს:

ერთი, ორი, ერთი, ორი...
ცხენი, კამეჩი, ცხენი, კამეჩი...

აქტივობა 3(15 წთ.).

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მოკლე ფრაგმენტს კინოფილმიდან – „აბეზარა“. მთავარი მოქმედი პირი მღერის ს. ცინცაძის სიმღერას შავ კატაზე. შემდეგ მასწავლებელი წაიმღერებს მოკლე ფრაგმენტს ამ სიმღერიდან „შავი კატა“, – მიავ, მიავ, ჩემო ფისუნიავ. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: მოდით, ეს **მელოდია** დავყოთ **მოტივებად**. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მღერიან მელოდიის პირველ ნაწილს (პირველ მოტივს): „მიავ, მიავ“ შეუჩერებლად. გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი წყვეტს სიმღერას და ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, ამ მოტივში ბგერები როგორ მოძრაობს, აღმავალი თუ დაღმავალი მიმართულებით? მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიმღერებენ კატის მოტივს და ხელის მოძრაობის დახმარებით განსაზღვრავენ ბგერების მიმართულებას (პირველი ინტონაცია „მიავ“ – ქვემოდან ზემოთ, მეორე ინტონაცია „მიავ“ – ზემოდან ქვემოთ,). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ნახატით გამოხატონ ეს ინტონაცია (ნიმუში იხ. დანართში). მასწავლებელი განაგრძობს კითხვების დასმას: თუ იცით შინაურ ცხოველებს შორის რომელი ცხოველი ემტერება კატას? (პასუხი: ძაღლი), მოდით, ახლა გავიმღეროთ კატისა და ძაღლის დიალოგი. მასწავლებელი გაიმღერებს ამ დიალოგს თვლაში და მიანიშნებს მოსწავლეებს აჰყვნენ მას:

მი – ი – ი – ავ, მი-ავ! – აუ! აუ!
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ერთი, ორი, სამი, ოთხი.

მოსწავლეები ხმით აჰყვებიან მასწავლებლის ხმას შეუჩერებლად და გარკვეული ხნის განმავლობაში შეასრულებენ კატისა და ძაღლის დიალოგს.

გაკვეთილები 3-5. კატები
გაკვეთილი 3

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, ტემპი, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ ახასიათებენ სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1(15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ჩაატარონ ინტონაციური სავარჯიშო: „სოფო და ფისო“. სოფოსა და ფისოს დიალოგით მოსწავლეებმა უნდა გამოხატონ შეკითხვის, თანხმობისა და უარყოფის ინტონაციები (ინტონაცია ამ შემთხვევაში ნიშნავს ხმის მოძრაობას):

„სოფომ ჰკითხა ფისოს, – შეგიძლია ფისო დაიჭირო თაგვი?

– მიაუ, – უპასუხა ფისომ“.

რა იგულისხმა ფისომ, შეუძლია თუ არა მას დაიჭიროს თაგვი? მოსწავლეებმა ისე უნდა შეასრულონ დიალოგი, რომ 1. ფისოს პასუხი ინტონაციურად გამოხატავდეს თანხმობას; 2. ფისოს პასუხი ინტონაციურად გამოხატავდეს უარყოფას; 3. ფისოს პასუხი გაურკვეველია. იმისათვის, რომ უკეთესი შედეგი მივიღოთ, სასურველია მოსწავლეებმა გამოიყენონ მიმიკები და ჟესტები, მაგ., თანხმობის ნიშნად (დიახ!) თავი დააქნიონ, უარყოფის ნიშნად (არა!) თავი ან ხელი გააქნიონ, გაურკვეველი პასუხის დროს (არ ვიცი) დაბნეული სახით აიჩეჩონ მხრები. ფისოს პასუხები ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რა იგულისხმება ფისოს როლის შემსრულებლის პასუხებში. შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს კითხვა-პასუხის ინტონაციები შეასრულებინოს ასო-ბგერა „მ“-ზე. ბოლოს მასწავლებელი ეკითხება: აღმავალი თუ დაღმავალი ინტონაციები იყო გამოყენებული ფისოს პასუხებში – „მიაუ“? მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიმღერებენ კატის მოტივს და ხელის მოძრაობის დახმარებით განსაზღვრავენ ბგერების მიმართულებას. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ნახატით გამოხატონ ეს ინტონაცია.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს (ფრაგმენტებს) როსინის კატების დუეტიდან ორი ინტერპრეტაციის (ქალებისა და მამაკაცების შესრულებით). მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, რას გამოხატავს კატების როლის შემსრულებელი მსახიობების ინტონაციები, რას „საუბრობენ“ ერთმანეთში კატების ეს ორი წყვილი? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და მსჯელობენ. მსჯელობის შედეგად შეადგენენ და ჩამოაყალიბებენ კატების სიტყვიერ დიალოგს როგორც ერთი, ისე მეორე ვერსიის მიხედვით.

აქტივობა 3 (15 წთ.).

კატაზე სიმღერებს მღერიან არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ახლა მოგასმენინებთ ორ უცხოურ სიმღერას კატაზე, თქვენ ყურადღებით მოისმინეთ და მიპასუხეთ: თქვენი აზრით, რომელი სიმღერის მოტივი, რიტმი და ტემპი უფრო შეესაბამება კატის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალურ აღწერას? როგორ ახასიათებენ კატას ფრანგულ და ესპანურ სიმღერებში? მოსწავლეები მოისმენენ ფრანგულ და ესპანურ სიმღერებს კატაზე, მსჯელობენ და გამოთქვამენ საკუთარ აზრებს მოსმენილი სიმღერების შესახებ.

გაკვეთილი 4

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რიტმული ფიგურაცია

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა ხმა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა. (დაახლ. 5 წთ.)

აქტივობა 1 (15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი კვლავ დაუბრუნდება მე-2 გაკვეთილზე შესრულებულ სავარჯიშოს: იგი მღერის ს. ცინცაძის სიმღერის „შავი კატა“ მელოდიის მოტივს: „მიავ, მიავ“, მოსწავლეები აჰყვებიან მას, გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი შეუჩერებლად გააგრძელებს მელოდიას და მღერის: „მიავ, მიავ, ჩემო ფისუნიავ“. მოსწავლეები ასევე შეუჩერებლად გააგრძელებენ სიმღერას. გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი წყვეტს სიმღერას და ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ფიქრობთ, რა გავაკეთეთ ახლა ჩვენ? სავარაუდოდ, მოსწავლეები უპასუხებენ: გავაგრძელეთ სიმღერის შესწავლა. მასწავლებელი დააზუსტებს: წინა გაკვეთილზე ჩვენ შევისწავლეთ ამ სიმღერის მელოდიის ერთი მოტივი, ახლა დავამატეთ მეორე მოტივი, როგორ ფიქრობთ, რა გრძნობა გამოიხატება მოტივში „ჩემო ფისუნიავ“? სიყვარული, მოფერება თუ სიბრაზე? მოსწავლეები ამოიცნობენ. შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ გაიმღერონ ეს მელოდია და გამოხატონ ტექსტის შესაბამისი განწყობა. მოსწავლეები შეასრულებენ. შესაძლებელია მასწავლებელმა ინდივიდუალურად გაამღეროს მოსწავლეები და მისცეს საშუალება მათ ინდივიდუალურად გამოხატონ თავიანთი გრძნობები.

აქტივობა 2 (10წთ.).

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს: კიდევ ერთხელ გავიმღეროთ მელოდიის პირველი მოტივი, „მიავ, მიავ“ და მოვიფიქროთ ამ მოტივის სხვა გაგრძელება, ოღონდ წინასწარ განვსაზღვროთ, როგორი ინტონაციის გამოხატვა გვინდა. მოსწავლეები ინდივიდუალურად მოიფიქრებენ (მათ უნდა გაითვალისწინონ ის ინტონაციებიც, რომლებიც მოისმინეს როსინის კატების დუეტის ფრაგმენტებში), შეასრულებენ, ჩაწერენ კომპიუტერულ პროგრამაში, შემდეგ დაუმატებენ რაიმე მოკლე მოტივს („გააგრძელებენ“ მუსიკალურ აზრს) და კლასს წარუდგენენ თავიანთ ნამუშევარს.

მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს მოსმენილი კომპიუტერული ვერსიების

შესახებ, ცდილობენ ამოიცნონ, რა გრძნობების გამოხატვა სურდათ მათ თანაკლასელებს თავიანთ მოტივებში.

აქტივობა 3(15 წთ.).

მასწავლებელი დაასახელებს სამ შინაურ ცხოველს, რომელთა სახელწოდებები სხვადასხვა რაოდენობის მარცვლისაგან შედგება და ამ სახელწოდებებისაგან შეადგენს რიტმულ ფიგურაციას: მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ამ ცხოველების სურათებს: – კამეჩი, კატა, თხა (იხ. დანართი, გვ.1). მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეუდგება რიტმული ფიგურაციის შესრულებას:

მასწავლებელი რიტმულად დაუკრავს ტაშს და თითოეულ ტაშზე დაასახელებს თითო ცხოველს, მოსწავლეები შეუჩერებლად აჰყვებიან მასწავლებლის ტაშს და სიტყვებს. გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი შეწყვეტს ტაშს და მიმართავს მოსწავლეებს: ახლა მე დავთვლი, თქვენ კი ჩემ თვლაზე – ერთი – დაასახელებთ პირველ ცხოველს – კამეჩი, თვლაზე – ორი – დაასახელებთ მეორე ცხოველს – კატა, თვლაზე – სამი – დაასახელებთ მესამე ცხოველს – თხა. მასწავლებელი დათვლის: ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი... აქცენტით გამოყოფს ძლიერ დროს. მოსწავლეები თვლას შეუსაბამებენ სამი ცხოველის სახელს:

ერთი,	ორი,	სამი,	ერთი,	ორი,	სამი...
კამეჩი,	კატა,	თხა,	კამეჩი,	კატა,	თხა...

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ცხოველების სახელებით გაიმღერონ რაიმე ინტონაციებით, რამდენი მარცვალიც არის სიტყვაში და ხელის მოძრაობით მიანიშნონ ხმის მოძრაობის მიმართულება. ამის შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით თვლაში შეასრულებენ თავიანთ ინტონაციებს ცხოველთა სახელწოდებების დასახელებით.

გაკვეთილი 5

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი

გამყვანი კითხვა:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (20 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ორ ფრაგმენტს კატების ინტონაციებით: 1. როსინი, 2. ლ. ანდერსონი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან აზრი, ამ ორიდან უფრო მეტად რომელი ჰგავს კატების კნავილს და რომელი მოგვაგონებს მას მხოლოდ ცალკეული ინტონაციებით. მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი ვარაუდები. მოსწავლეები ყურადღებით მოუსმენენ ფრაგმენტებს და გამოიტანენ დასკვნას: კატების კნავილს ნაკლებად ჰგავს ლ. ანდერსონის ნაწარმოები, რადგან იგი ორკესტრისთვის არის დაწერილი, ხოლო – როსინის ნაწარმოები დაწერილია ადამიანის ხმისთვის. ადამიანის ხმა უკეთესად ბაძავს კატის ხმას.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიმღერონ კატების დუეტში მოსმენილი მოტივები. მოსწავლეები გაიმღერებენ მოსმენილი ნაწარმოებებიდან რაიმე ინტონაციას, თავადაც დაუმატებენ რაიმე მოკლე მოტივს („გააგრძელებენ" მუსიკალურ აზრს), ჩაწერენ კომპიუტერებში და გააჟღერებენ კლასში.

გაკვეთილები 6-8. სოფლის ეზოში
გაკვეთილი 6

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, რეგისტრი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს LMMS პროგრამაში შესრულებულ აუდიოჩანაწერს: ერთდროულად ისმის რამდენიმე ცხოველის ხმა (ძაღლის ყეფა, კატის კნავილი, ღორის ღრუტუნი, ძროხისა და ცხვრის ბღავილი, ვირის ყროყინი, ცხენის ჭიხვინი, თხის კიკინი ....). მასწავლებელი ეკითხება: თქვენი აზრით, რა იყო ეს, რა მოისმინეთ? სად შეიძლება გავიგონოთ ასეთი ხმები? (სავარაუდო პასუხები: ეს იყო შინაური ცხოველების ხმების ერთდროული ჟღერადობა და ეს შეიძლება ხდებოდეს სოფლის ეზოში). მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, ამოიცნობენ და დაასახელებენ ხმებს. მისივე თხოვნით გაახმოვანებენ მათთვის ცნობილი შინაური ცხოველების ხმებს, კომპიუტერში ჩაწერენ და გააჟღერებენ ამ ხმებს.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს LMMS პროგრამაში შესრულებულ აუდიოჩანაწერს: ერთდროულად ისმის რამდენიმე ხმა (ძაღლის ყეფა, ცხენის ჭიხვინი, კატის კნავილი, ღორის ღრუტუნი, ძროხისა და ცხვრის ბღავილი, ვირის ყროყინი, თხის კიკინი ....). მოსწავლეები დაასახელებენ ცხოველებს. მასწავლებელი ცალკე-ცალკე გამოყოფს მოსწავლეთა მიერ დასახელებულ ხმებს, ამგვარი გამოკლების პრინციპით გამოაცალკევებენ ერთდროულად მოსმენილი ხმებიდან თითოეულ ხმას. შემდეგ მასწავლებელი კომპიუტერულ პროგრამაში ცალ-ცალკე გააჟღერებს ამ ხმებს. მოსწავლეები კვლავ დაასახელებენ ცხოველებს. შემდეგ, მასწავლებლის თხოვნით, რაიმე მოკლე ინტონაციას შეუსაბამებენ ცხოველის ხმას ან ქცევას და განასახიერებენ ამ ცხოველებს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი ცხოველთა ხმების სემპლებისაგან შეადგენს ხმების კოლაჟს: თანმიმდევრობით გააჟღერებს სამი-ოთხი ცხოველის ხმას (მაგალითად: ძაღლი, კატა, ცხენი, ვირი). მოსწავლეები ამოიცნობენ ამ ხმებს. შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მათ: ახლა დამისახელეთ შინაური ცხოველები და მე თანმიმდევრობით ავაჟღერებ მათ ხმებს.

მოსწავლეები ასახელებენ ცხოველებს. მასწავლებელი აჟღერებს ხმებს მათი კარნახის მიხედვით. შემდეგ იგი მიმართავს მოსწავლეებს, მოგეწონათ ეს თამაში? ამ ყველაფერს შემდეგ გაკვეთილზე თავად გააკეთებთ.

გაკვეთილი 7

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები

გამყვანი კითხვა:

როგორ გამოვიყენოთ მოტივი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი კვლავ მოასმენინებს მოსწავლეებს LMMS პროგრამაში შესრულებულ აუდიოჩანაწერს: ერთდროულად ისმის რამდენიმე ცხოველის ხმა (ძაღლის ყეფა, კატის კნავილი, ღორის ღრუტუნი, ძროხისა და ცხვრის ბღავილი, ვირის ყროყინი, ცხენის ჭიხვინი, თხის კიკინი ....). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ, რა ხმები გაიგონეს. მოსწავლეები დაასახელებენ ცხოველებს. შემდეგ მასწავლებლის თხოვნით ისინი გაიმღერებენ ცხოველთა ხმების ინტონაციებს და მოძრაობით განასახიერებენ მათ მიერ ამოცნობილ ცხოველთა მოძრაობებს. მასწავლებელი ეკითხება: რამდენბგერიანია ამ ცხოველის ინტონაცია? აღმავალია თუ დაღმავალი ინტონაცია? რომელ რეგისტრში ჟღერს მისი ხმა: მაღალ თუ დაბალ რეგისტრში?

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს პერსონალურ კომპიუტერებში (ბუკებში) გადაუგზავნის LMMS პროგრამაში შესრულებულ აუდიოჩანაწერს: ერთდროულად ისმის რამდენიმე ხმა (ძაღლის ყეფა, კატის კნავილი, ღორის ღრუტუნი, ძროხისა და ცხვრის ბღავილი, ვირის ყროყინი, თხის კიკინი ...). მოსწავლეებმა ცალ-ცალკე უნდა გამოყონ ერთდროულად მოსმენილი ხმებიდან თითოეული ხმა. შემდეგ მოსწავლეები გააჟღერებენ ცალკეული ცხოველების ხმებს მასწავლებლის მითითების შესაბამისად. გამოცალკევებული ხმებიდან მასწავლებელი შეარჩევს რამდენიმეს, სამ-ოთხ ხმას. გარკვეული თანმიმდევრობით მოასმენინებს მოსწავლეებს ამ ხმებს, მოსწავლეებმა თავიანთ ბუკებში LMMS პროგრამაში იმავე თანმიმდევრობით უნდა გააჟღერონ ეს ხმები და დაასახელონ ის ცხოველები, რომელთა ხმებსაც გააჟღერებენ. მასწავლებელი ეკითხება: როგორია ეს ცხოველი, ბალახისმჭამელია იგი თუ ხორცისმჭამელი? რა სარგებლობა მოაქვს მას ადამიანებისათვის? მოსწავლეები შეძლებისდაგვარად უპასუხებენ ამ კითხვებს. შემდეგ მასწავლებლის თხოვნით შეეცდებიან, ხმით და მოძრაობით განასახიერონ ეს ცხოველი. მასწავლებელი კვლავ დასვამს კითხვებს: რამდენბგერიანია ამ ცხოველის ხმის ინტონაცია? აღმავალია თუ დაღმავალი ეს ინტონაცია? რომელ რეგისტრში ჟღერს მისი ხმა: მაღალ თუ დაბალ რეგისტრში? მოსწავლეები გაიმღერებენ ცხოველთა ინტონაციებს, ხმის მიმართულების დასადგენად (აღმავალია თუ დაღმავალი) მიმართავენ ხელის მოძრაობებს, ფიქრობენ ხმის რეგისტრის შესახებ და გამოთქვამენ თავიანთ აზრებს.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ცხოველთა ხმების სემპლებისაგან შეადგენენ ხმების კოლაჟს: თანმიმდევრობით გააჟღერებენ მასწავლებლის მიერ დასახელებული ორი-სამი ცხოველის ხმას. შემდეგ ისინი რამდენიმეჯერ გააჟღერებენ ერთი და იმავე ხმების კოლაჟს.

გაკვეთილი 8.

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები

გამყვანი კითხვა:

როგორ გამოვიყენოთ მოტივი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს სხვადასხვა მოსწავლეს, ხმით და მოძრაობით მიბაძონ რომელიმე ცხოველს (მაგ., ძაღლს, თხას, კატას...) და მიაქციონ ყურადღება, თუ როგორი ინტონაცია გამოიყენეს მათ მიბაძვისას. შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, კომპიუტერზე ჩაწერონ თავიანთი ხმის მოძრაობა და გააჟღერონ ის, რაც ჩაწერეს.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ფრაგმენტს **მერი დავითაშვილის საფორტეპიანო პიესიდან „ყურშა“** და სთხოვს, გამოიცნონ ამ პიესაში რომელი ცხოველისათვის დამახასიათებელი ინტონაციაა გადმოცემული. განმეორებითი მოსმენის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს. ამოცნობის შემდეგ მოსწავლეები, მასწავლებლის თხოვნით, შეძლებისდაგვარად, გაიმეორებენ ამ ინტონაციას. მასწავლებელი ეკითხება მათ: რის მიხედვით ამოიცანით ცხოველი? შეესაბამება თუ არა ნაწარმოების რიტმული ფიგურაცია, ტემპი, რეგისტრი, მოტივი, მელოდია იმ პერსონაჟს, რომლის სახე-ხატიც დაგვიხატა კომპოზიტორმა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად. იგი მოსწავლეებს ბუკებში გადაუგზავნის რამდენიმე ცხოველის ხმის სემპლებს (მაგ., ძროხა, ვირი, ცხენი კატა, თხა). მოსწავლეთა ამოცანაა: ცხოველთა ხმები ააჟღერონ **რეგისტრების** მიხედვით. ჯერ დაბალი, შემდეგ საშუალო რეგისტრის, ბოლოს მაღალი რეგისტრის ხმები. ჯგუფები ამ ნიშნით დაალაგებენ ხმებს და შექმნიან ცხოველთა ხმების კოლაჟს: „ბოხიდან (დაბალი) წვრილისკენ (მაღალი)“. ჯგუფები მოახდენენ თავიანთი კოლაჟების პრეზენტაციას, კლასი იმსჯელებს, რამდენად სწორად შეასრულეს ჯგუფებმა დავალება.

გაკვეთილი 9. შემაჯამებელი

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები.

გამყვანი კითხვა: როგორ გამოვიყენოთ მოტივი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს. მუს.დაწყ.(I). 1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები - „ბუკები“, აუდიომასალა.

მოთელვა (5 წთ.).

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: შეარჩიონ 2 – 3 შინაური ცხოველი, რომელთა სახელწოდება სხვადასხვა რაოდენობის მარცვლისაგან შედგება. ისინი დაუკრავენ რიტმულ ტაშს და თითოეულ ტაშზე დაასახელებენ თითო ცხოველს. მოსწავლეებმა ცხოველების სახელებით უნდა გაიმღერონ იმდენბგერიანი ინტონაცია, რამდენი მარცვალიც არის სიტყვაში.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად. ჯგუფებს „ბუკებში“ გადაუგზავნის შინაური ცხოველების ხმების სემპლებს (3-4 სემპლი). ჯგუფებმა უნდა შექმნან ხმების კოლაჟი. ისინი ცხოველთა ხმების სემპლებს დაალაგებენ ბგერის სიმაღლის ზრდის მიხედვით და კლასს წარუდგენენ ნამუშევრებს.

შეფასების რუბრიკების ნიმუშები:

თემა: ცხოველები მუსიკაში

შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა: მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების შექმნა;

კრიტერიუმი	*დამაკმაყოფილებელი*	*კარგი*	*ძალიან კარგი*
ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას/ კოლაჟს	კომპოზიციის/ კოლაჟის შექმნისთვის შეუძლია მხოლოდ ერთი ან ორი სემპლის გამოყენება.	გადმოგზავნილი სემპლებით ქმნის დაუსრულებელ მუსიკალურ კომპოზიციას/ კოლაჟს.	გადმოგზავნილი მრავალფეროვანი სემპლებით ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას/ კოლაჟს.
კოლაჟის შექმნისას ახარისხებს სემპლებს	სემპლებით შეუძლია კოლაჟის შექმნა, თუმცა ვერ იყენებს ეფექტებს.	სემპლებით ქმნის კომპოზიციას/ კოლაჟს და იყენებს მცირე ეფექტებს.	სემპლებით ქმნის კოლაჟს, შექმნის პროცესში იყენებს ეფექტებს. იმპროვიზირებს.
რიტმული კომპოზიციის შესრულება	კომპოზიციის შესრულებისთვის ვერ იყენებს რიტმულ ფიგურაციას.	კომპოზიციის შესრულებისთვის იყენებს დაუსრულებელ რიტმულ ფიგურაციას.	მრავალფეროვანი რიტმული ფიგურაციით ქმნის კომპოზიციას.

ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	*დამაკმაყოფილებელი*	*კარგი*	*ძალიან კარგი*
1.მზაობა ჯგუფური მუშაობისათვის	შესასრულებელი სამუშაოს შესახებ მისი ცოდნა ზედაპირულია. ხშირად უშვებს შეცდომებს	შესასრულებელი სამუშაოსათვის მომზადებულია. იშვიათად უშვებს შეცდომებს.	შესასრულებელი სამუშაოსათვის კარგად არის მომზადებული. არ უშვებს შეცდომებს
2.ჯგუფური სამუშაოს წარმართვა	ჯგუფთან ზოგჯერ თანამშრომლობს კონსტრუქციულად.	ჯგუფთან მისი თანამშრომლობა უმეტესწილად კონსტრუქციულია.	ჯგუფთან მისი თანამშრომლობა ყოველთვის კონსტრუქციულია.
3. სამუშაოს სწორად და დროულად შესრულება	სამუშაოს ნაწილობრივ ასრულებს დროულად, მაგრამ არამიზანმიმართულად ან პირიქით.	სამუშაოს ხშირ შემთხვევაში ასრულებს დროულად და მიზანმიმართულად.	სამუშაოს ასრულებს ყოველთვის დროულად და მიზანმიმართულად

გაკვეთილები 10-11. ტყეში და ზოოპარკში
გაკვეთილი 10

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაცია

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეიძლება აღვწეროთ ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს რიტმში უმღერის მარტივ მოტივს, რომელიც შედგება ორი ინტონაციისგან: „აუუ“ (მგლის ყმუილი), „ყი-ყი“ (ბაყაყის ყიყინი), („აუუუ“ – დაბალი და მაღალი ბგერებისაგან შემდგარი ინტონაცია, „ყი-ყი“ ერთი და იმავე ბგერის გამეორება დაბალ რეგისტრში). მასწავლებელი სიმღერას ააყოლებს ტაშს. ძლიერი ტაშით გამოყოფს ძლიერ დროს. მოსწავლეები იქვე იმეორებენ ინტონაციებს და აჰყვებიან ტაშით.

ა - ა – უ-უ, ყი-ყი – ყი-ყი.....

ერ-თი, ო-რი, სა-მი, ოთ-ხი.....

მასწავლებელს შეუძლია ააჩქაროს ან შეანელოს ტაში და ხმაბაძვითი ინტონაციების მღერა, მოსწავლეები შეუჩერებლად აჰყვებიან მას.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი მღერის სიმღერის „საქათმეში შეპარულა მელა“ მისამღერს საშუალო ტემპში და სთხოვს მოსწავლეებს, აჰყვნენ მას.

„არაო, არაო, მელა მატყუარაო, არ წამოვალ არაო“.

მოსწავლეები აჰყვებიან მასწავლებლის ხმას. გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი ააჩქარებს ტემპს, შესაბამისად, მოსწავლეებმაც უნდა ააჩქარონ ტემპი. მასწავლებელი ეკითხება: რომელი სიმღერის ფრაგმენტი შევასრულეთ? იცით ეს სიმღერა? მოგისმენიათ იგი? სად მოგისმენიათ? შეგიძლიათ თქვენი სიტყვებით გადმოგვცეთ სიმღერის შინაარსი? თუ მელა საქათმეში შეიპარება, სინამდვილეში რა ხდება, სთხოვს იგი ქათმებს წაყვნენ მას თუ იტაცებს მათ? (სავარაუდო პასუხი: იტაცებს). ე.ი. როგორი ცხოველი ყოფილა მელა? (სავარაუდო პასუხი: მელა მტაცებელი ცხოველია). თქვენი აზრით, როდესაც მელაკუდა შეიპარება საქათმეში, რა რეაქცია აქვთ ქათმებს? შეეცადეთ ხმაბაძვითი სიტყვებითა და მოძრაობებით გაითამაშოთ ეს სცენა. მასწავლებლის თხოვნით რამდენიმე მოსწავლე, სურვილისამებრ, იღებს მონაწილეობას ინსცენირებაში.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: მელიას გარდა კიდევ რომელ მტაცებელ ცხოველებს დაასახელებთ? (მოსწავლეები ჩამოთვლიან: მგელი, დათვი, ვეფხვი, ლომი...). მტაცებელ ცხოველებს ზოგჯერ მხეცებს უწოდებენ. მაგრამ ზოგიერთი გარეული ცხოველი არ არის მტაცებელი, ისინი ბალახს მიირთმევენ, ამიტომ მათ ბალახისმჭამელ ცხოველებს უწოდებენ, ზოგიერთი მათგანი ხშირად ხდება მტაცებელი ცხოველების მსხვერპლი. შეგიძლიათ დაასახელოთ ეს ცხოველები? (მოსწავლეები დაასახელებენ ბალახისმჭამელ ცხოველებს: სპილო, ჟირაფი, ზებრა, ირემი, კურდღელი, ზღარბი, ჯიხვი, არჩვი...). იცით სინამდვილეში როგორი ხმა აქვთ გარეულ ცხოველებს? მოდით, მოვისმინოთ მათი ხმები. მასწავლებელი აჩვენებს ვიდეოს „გარეული ცხოველები“, აქვე ისმის ამ ცხოველთა ხმები. მოსწავლეები ამოიცნობენ ცხოველებს და, შეძლებისდაგვარად, გაახმოვანებენ მათ ხმებს. მასწავლებელი დასვამს კითხვებს: რამდენბგერიანია ამ ცხოველის ინტონაცია? აღმავალია თუ დაღმავალია ინტონაცია? რომელ რეგისტრში ჟღერს მისი ხმა: მაღალ, საშუალო თუ დაბალ რეგისტრში?

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სემპლების სახით ბუკებში გადაუგზავნის გარეული ცხოველების ხმებს (ლომი, მგელი, დათვი, ირემი, კურდღელი, სპილო). შემდეგ მასწავლებელი დაასახელებს რომელიმე ცხოველს, მოსწავლეები გააჟღერებენ ცხოველების ამ ხმებს მასწავლებლის მითითების შესაბამისად. მასწავლებელი ეკითხება: სად შეიძლება გავიგონით ამ ცხოველების ხმები? (სავარაუდო პასუხები: ტყეში, ზოოპარკში). რომელი მათგანი არის მტაცებელი და რომელი არა? რომელი ცხოველის ხმა არის ხმამაღალი, ძლიერი? რომელის – სუსტი? რომელი იყო ბოხი, დაბალი? რომელი იყო წვრილი, მაღალი? რომელი ხმა არის ხანგრძლივი, რომელის – ხანმოკლე? შეესაბამება მათი ხმები მათ გარეგნობას? მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს და გამოთქვამენ თავიანთ აზრებს ცხოველთა გარეგნობისა და ხმების შესაბამისობის შესახებ.

გაკვეთილი 11

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა, ვიდეომასალა, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), პროექტორი, ეკრანი.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი მღერის სიმღერის „საქათმეში შეპარულა მელა“ მისამღერს საშუალო ტემპში და სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ მას.

„არაო, არაო, მელა მატყუარაო, არ წამოვალ არაო“.

მოსწავლეები აჰყვებიან მასწავლებლის ხმას. გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი მღერის ამ სიმღერის პირველ სტროფს („საქათმეში შეპარულა მელა, ქათმებს ეჩურჩულებოდა ნელა, შენ მამალო გააჩუმე ენა, შენ დედალო წამომყევი ნელა“) და მიანიშნებს მოსწავლეებს, აჰყვნენ მას. მოსწავლეები აჰყვებიან მასწავლებლის ხმას და ამ მეთოდით შეისწავლიან სიმღერის პირველ სტროფს. ამის შემდეგ შესაძლებელია მასწავლებელმა ააჩქაროს ტემპი, მოსწავლეებიც შესაბამისად ცვლიან ტემპს. მასწავლებელი ეკითხება კლასს: როგორ სრულდება ეს სიმღერა: სევდიანად თუ ხალისიანად? მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას სიმღერის ხასიათის მიმართ. შემდეგ მასწავლებელი კლასს დაყოფს რიგებად. მისი მინიშნებით პირველი რიგი შეასრულებს პირველ სტროფს, მეორე – მისამღერს. რიგები გაცვლიან პარტიებს.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: იცით, რომელ ცხოველს უწოდებენ ცხოველთა მეფეს? (პასუხი: ლომი). როგორ ფიქრობთ, რატომ? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, მსჯელობენ, საუბრობენ ლომის გარეგნობის, ხმის, ქცევის შესახებ.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ახლა თქვენ მოისმენთ ორ მუსიკალურ ფრაგმენტს და უნდა ამოიცნოთ, რომელი მათგანი გვიხატავს ლომის სახე-ხატს?

მასწავლებელი მოასმენინებს **კ. სენ-სანსის ორ მუსიკალურ ფრაგმენტს ციკლიდან „ცხოველების კარნავალი“: 1.„ლომების მარში“, 2. „კუ“.** მოსწავლეებმა ამ ორი ფრაგმენტიდან უნდა შეარჩიონ ერთ-ერთი და ახსნან, რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: თქვენ სწორად ამოიცანით ლომების სახე-ხატები მუსიკალურ ნაწარმოებში. მაგრამ, თქვენი აზრით, რომელ ცხოველს გვიხატავს მეორე ფრაგმენტი? მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს მოსწავლეებს მეორე ფრაგმენტს, შემდეგ განაგრძობს კითხვების დასმას: როგორ ტემპში შესრულდა ეს ფრაგმენტი, ნელა თუ ჩქარა? თქვენი აზრით, დიდი ზომის ცხოველს ეძღვნება ეს ნაწარმოები თუ პატარას? როგორ მოძრაობს ეს ცხოველი, ნელა თუ ჩქარა? რომელია ის ცხოველი, რომელიც ძალიან ნელა მოძრაობს? გამოიცანით რომელია? მოსწავლეები შესაბამისად უპასუხებენ.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მოკლე ვიდეოს: მტაცებელი ცხოველი მისდევს მსხვერპლს. მსხვერპლი ცდილობს თავი გადაირჩინოს. როგორი ქცევა და მოძრაობების თავისებურებები ახასიათებთ მტაცებელ ცხოველებს? (სავარაუდო პასუხები: ჩუმად მიპარვა, სწრაფი ნახტომი,....), როგორ იცავს თავს მსხვერპლი, ამ შემთხვევაში ბალახისმჭამელი ცხოველი ანტილოპა? (სავარაუდო პასუხები: შეუძლია სწრაფი სირბილი და გარბის). რო-

გორი მუსიკა შეესაბამება ამ ვიდეოს? სწრაფი თუ ნელი? მხიარული, სევდიანი თუ დაძაბული? მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ორ მოკლე მუსიკალურ ფრაგმენტს, მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს. მათ უნდა შეარჩიონ მუსიკა ვიდეოფრაგმენტისათვის და დაასაბუთონ, რატომ შეარჩიეს ეს ფრაგმენტი.

გაკვეთილი 12. დათვი და მონადირე

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეიძლება აღიწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: იცით, რა მოსდით ცხოველებს ზამთარში? – ზოგი ბეწვს იცვლის, ზოგი – ფერს, ზოგს კი მთელი ზამთარი სძინავს. ახლა მე თქვენ ხმების საშუალებით მოგიყვებით ერთ ამბავს მძინარა დათუნიაზე, თქვენ კი შეეცადეთ გამოიცნოთ შინაარსი. მასწავლებელი მოსწავლეებს კომპიუტერულ პროგრამაში თანმიმდევრობით ასმენინებს შემდეგ ხმებს: 1. ხვრინვა, ფეხის ხმა და თოფის გასროლა, 2. ცხოველების სირბილისა და ფრინველების აფრენის ხმები, 3. კარის ბრახუნის ხმა, დათვის ღრიალი, თოვლში სირბილის ხმა. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ისაუბრებენ ამ ხმებით გამოწვეული თავიანთი წარმოდგენებისა და შთაბეჭდილებების შესახებ. მასწავლებელი დასვამს კითხვებს: რამდენბგერიანია დათვის ხმის ინტონაცია? აღმავალია თუ დაღმავალი ეს ინტონაციები? რომელ რეგისტრში ჟღერს მისი ხმა: მაღალ თუ დაბალ რეგისტრში?

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ახლა მოგიყვებით სინამდვილეში რა ხდებოდა იმ ხმების მოსმენის დროს და თქვენ შეეცადეთ გაახმოვანოთ ეს ისტორია: „ერთი ცივი ზამთრის დღეს დათუნიას თავის ბუნაგში ტკბილად ეძინა და ხმამაღლა ხვრინავდა (მოსწავლეები ახმოვანებენ). ამ დროს ტყეში გამოჩნდა მონადირე, რომელმაც თოფი გაისროლა (მოსწავლეები ახმოვანებენ მონადირის ფეხისა და თოფის გასროლის ხმებს). ცხოველებს შეეშინდათ, გაიქცნენ დათვის ბუნაგისაკენ, შეიჭრნენ მის ბუნაგში და დათუნია გააღვიძეს (მოსწავლეები ახმოვანებენ ცხოველების სირბილის ხმას, ფრინველების აფრენის ხმას, კარის ბრახუნის ხმას): – „დათუნია, გვიშველე, მონადირე მოდის და დაგვმალე“, – ეხვეწებოდნენ ცხოველები (ხვეწნის ინტონაციები ცხოველთა ხმაბაძვითი სიტყვებით და ასო-ბგერებით). დათვი ბუნაგიდან გამოვარდა და მონადირეს დაუღრიალა (დათვის ღრიალის ხმა). მონადირეს შეეშინდა, თოფი ხელიდან გაუვარდა და გაიქცა (თოვლში სირბილის ხმა). ასე გადაარჩინა იმ დღეს დათუნიამ ცხოველები“. გახმოვანების დროს მოსწავლეები გამოიყენებენ საკუთარ ხმებს, მოქმედებებს და სხვადასხვა ნივთს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი კომპიუტერულ პროგრამაში სემპლების სახით გადაუგზავნის მასალას, მოსწავლეები კომპიუტერში თანმიმდევრულად ააჟღერებენ მასწავლებლის მონაყოლის შესაბამის სემპლებს.

გაკვეთილი 13. კურდღელი

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი, რეგისტრი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ ახასიათებენ სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებში? მუს.დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: იცით, რომელია ძალიან ფრთხილი და მშიშარა ცხოველი? (სავარაუდო პასუხი: კურდღელი). კიდევ რა დამახასიათებელი თვისებები აქვს კურდღელს, სწრაფად დახტის იგი თუ ნელა დადის? იცით, როგორი ხმა აქვს კურდღელს? მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს კურდღლის ხმას, მოსწავლეები გაახმოვანებენ. თქვენი აზრით, როგორი მუსიკა შეესაბამება კურდღელს? მოისმინეთ ორი მუსიკალური ფრაგმენტი, ამოიცანით კურდღლის სახე-ხატი **(გალინინი, „ზოოპარკში“, კურდღელი, სპილოები)**. მოსწავლეები ამოიცნობენ. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა დაგეხმარათ სწორი პასუხის გაცემაში? რომელმა მუსიკალურმა ხერხმა განსაზღვრა თქვენი პასუხი? მოსწავლეები მსჯელობენ და გამოთქვამენ თავიანთ აზრებს (სავარაუდო პასუხები: მეორე მუსიკალური ფრაგმენტი სრულდება ნელა, მძიმედ, არ შეესაბამება კურდღლის ქცევას, პირველი ფრაგმენტი კარგად ასახავს კურდღლის მოძრაობას, სირბილს, ხტუნვას).

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ხომ არ იცით სიმღერები კურდღელზე? მოსწავლეები დაასახელებენ სიმღერას: „ეს საწყალი კურდღელი“, მასწავლებელი მოასმენინებს ამ სიმღერის ფრაგმენტს, მოსწავლეები ხმით აჰყვებიან სიმღერას. შემდეგ მასწავლებელი გაიმღერებს მერი დავითაშვილის სიმღერის „ვარჯიში“ მოტივს.

„სკუპ და სკუპ, სკუპ და სკუპ,
კურდღელივით დავხტუნავ“.

მასწავლებელი მოსწავლეებს მიანიშნებს, შეუჩერებლად აჰყვნენ მის ხმას. მოსწავლეები შეუჩერებლად იმეორებენ, გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი თავზე დაიწყობს ხელებს კურდღლის ყურების მსგავსად და ასე გააგრძელებს სიმღერას. თან რიტმულად გადაიხრება ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ სიმღერის რიტმის შესაბამისად.

მოსწავლეები შეუჩერებლად იმეორებენ მასწავლებლის მოძრაობებს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ ამ სიმღერის მოტივის მღერას, მასწავლებელს შეუძლია ნება დართოს მათ სიმღერასთან ერთად იხტუნონ სიმღერის რიტმში. ამ შემთხვევაში უმჯობესია მასწავლებელმა ტაში დაუკრას, ხმამაღლა დათვალოს და გამოკვეთოს თვლა ერთი (ძლიერი დრო):

„სკუპ და სკუპ, სკუპ და სკუპ, კურდღე-ლივით დავხტუ-ნავ“.
ერთი, ორი, ერთი, ორი, ერთი, ორი, ერთი, ორი,

მასწავლებელი დასვამს კითხვებს: რა ტექსტით არის აღწერილი კურდღლის ქცევა სიმღერაში? შეესაბამება თუ არა სიმღერის მუსიკა ტექსტს? მოსწავლეები მსჯელობენ და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ვხედავ, რომ გიყვართ კურდღელზე სიმღერები. ასევე უყვართ კურდღელზე სიმღერები სხვა ქვეყნების ბავშვებსაც, მოდით, მოვისმინოთ კურდღელზე სიმღერა ინგლისურად. მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს სიმღერას „ბატონი კურდღელი“. მოსწავლეები მოძრაობით აჰყვებიან სიმღერას. მასწავლებელი დასვამს კითხვებს: რა ხერხით არის აღწერილი კურდღლის გარეგნობა, ხმა და ქცევა ინგლისურ სიმღერაში? როგორ ახასიათებენ კურდღელს ინგლისურ ხალხურ სიმღერაში? მსგავსია თუ განსხვავებული კურდღელზე ქართული და ინგლისური სიმღერების ხასიათი და განწყობა? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, მსჯელობენ ქართული და ინგლისური სიმღერების ხასიათისა და განწყობის შესახებ.

გაკვეთილი 14. „მუსიკოსი ზღარბი“

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა, ვიდეომასალა, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მოკლე ვიდეოფრაგმენტს (ვიდეო ზღარბზე კაბალევსკის მუსიკის თანხლებით). გინახავთ ზღარბი? იცით, მას ვაშლი რომ უყვარს? რა შეგიძლიათ გვიამბოთ ამის შესახებ? შემდეგ მასწავლებლი მოსწავლეებს სთავაზობს სურათს (იხ. დანართი, გვ. 2) „მუსიკოსი ზღარბი“, სთხოვს მათ სურათის მიხედვით ჩამოაყალიბონ „მუსიკოსი ზღარბის“ ისტორია და გაახმოვანონ სურათის შინაარსი: ბაღში ვაშლის ხიდან ვაშლები მიწაზე ცვივა (წკიპურტები წიგნის ზედაპირზე), მუსიკოსი ზღარბი თავის ეკლებზე აისხამს ჩამოვარდნილ ვაშლებს (ჩხვლეტის ინტონაციები).

„მუსიკოს ზღარბს“ დაფდაფი ბაღში დარჩა, თვითონ კი ვაშლებით დახუნძლული წავიდა (ხმადაბალი ნაბიჯების ხმა).

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ლექსს „მუსიკოსი ზღარბის“ ისტორიის შესახებ.

დაფდაფებით დადის ზღარბი, ბუმ, ბუმ, ბუმ.
მთელ დღეს უკრავს ჩვენი ზღარბი, ბუმ, ბუმ, ბუმ.
დაფდაფებით მხრებზე ზღარბი, ბუმ, ბუმ, ბუმ.
ბაღში შედის ჩვენი ზღარბი, ბუმ, ბუმ, ბუმ.
ვაშლი უყვარს თურმე ჩვენ ზღარბს, ბუმ, ბუმ, ბუმ.
დაფდაფები ჩამოიხსნა, ბუმ, ბუმ, ბუმ.
ვაშლი ზურგზე აიკიდა, ბუმ, ბუმ, ბუმ.
დაფდაფები ბაღში დარჩა, ბუმ, ბუმ, ბუმ.

მასწავლებელი გაიმღერებს ამ ისტორიის პირველ სტრიქონს აღმავალ და დაღმავალ ბგერათა რიგის გამოყენებით (კვინტის ფარგლებში), თან აკეთებს აკომპანემენტს ორი ფანქრის გამოყენებით (იგი ორ ფანქარს რიტმულად, მსუბუქად დაარტყამს მაგიდის ზედაპირზე), იგი მახვილით გამოყოფს ძლიერ დროს. მოსწავლეები ბაძავენ მასწავლებელს, იმეორებენ მის სიმღერას და რიტმულ ფიგურაციას:



დაფ – და – ფე – ბით და – დის ზ ღ ა რ – ბ ი, ბუმ, ბუმ, ბუმ. –
ერ – თი, ო – რი, სა – მი, ოთ – ხი, ერთი, ორი, სამი, ოთხი,

როდესაც მოსწავლეები, გარკვეულწილად, სწორად გაიმეორებენ პირველ სტრიქონს, მასწავლებელი შეუჩერებლად გადადის მეორე სტრიქონის შესრულებაზე. ამჯერად იგი ბგერათა რიგს მღერის ჯერ დაღმავალი, შემდეგ აღმავალი მიმართულებით:



მთელ დღეს უკ – რავს ჩვე – ნი ზღარ – ბი, ბუმ, ბუმ, ბუმ. –
ერ – თი, ო – რი, სა – მი, ოთ – ხი, ერ-თი, ო-რი, სა-მი, ოთ-ხი,

როდესაც მოსწავლეები, გარკვეულწილად, სწორად გაიმეორებენ მეორე სტრიქონს, მასწავლებელს, სურვილისამებრ, შეუძლია გაამღეროს მოსწავლეები დანარჩენი ტექსტის მიხედვითაც, ერთი სტრიქონი ბგერათა რიგის აღმავალი, მეორე – დაღმავალი მიმართულებით. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აითვისებენ „მუსიკოსი ზღარბის“ სიმღერას, მასწავლებლის მითითებით ააჩქარებენ ტემპს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შექმნან კლასის „ანსამბლი“. მასწავლებელი კლასს დაყოფს რიგებად. ერთი რიგი მღერის „მუსიკოსი ზღარბის სიმღერის“ პირველ სტრიქონს (ბგერათა რიგის აღმავალი მიმართულება), მეორე რიგი აკეთებს აკომპანემენტს (ორ ფანქარს რიტმულად, მსუბუქად დაარტყამს მაგიდის ან წიგნის ზედაპირზე), მეორე რიგი გააგრძელებს სიმღერას (მეორე სტრიქონი – ბგერათა რიგის დაღმავალი, შემდეგ აღმავალი მიმართულება). პირველი რიგი გააკეთებს აკომპანემენტს, შემდეგ რიგები გაცვლიან პარტიებს. მასწავლებელი ხელმძღვანელობს „ანსამბლს“.

გაკვეთილი 15. „წითელქუდა და მგელი“

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, ტემპი, რეგისტრი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა, ვიდეომასალა, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებლი მოსწავლეებს აჩვენებს შარლ პეროს ზღაპრის „წითელქუდას“ მუსიკალურ კლიპს. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს: რომელი მათგანი (მგელი თუ წითელქუდა) გამოსცემს მაღალი (წვრილი) და რომელი დაბალი (ბოხი) ჟღერადობის ბგერებს? მოსწავლეები, სავარაუდოდ, განასხვავებენ ზღაპრის ამ ორი პერსონაჟის გამომხატველ განსხვავებულ ჟღერადობას. ვთხოვოთ მოსწავლეებს რაიმე დიალოგის გამოყენებით, მოძრაობითა და ხმით განასახიერონ წითელქუდასა და მგლის სახე-ხატები.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, როგორი გოგონაა წითელქუდა: მშიშარა თუ გულადი, გაბედული? იგი მარტო შევიდა ტყეში, გაიარა მთელი ტყე და ბებიასთან მივიდა ტყის მეორე მხარეს. თქვენი აზრით, როგორი ტყე გაიარა წითელქუდამ, დაბურული თუ მეჩხერი? (მასწავლებელი აუხსნის, რას ნიშნავს დაბურული და მეჩხერი ტყეები). თქვენი აზრით, სანამ მგელს გადაეყრებოდა, შესაძლებელია მას სხვა ცხოველებიც შეხვედროდნენ? აბა, დაფიქრდით და მოიფიქრეთ პატარა ისტორია – „წითელქუდა ტყეში“, შემდეგ კი ხმებით გვიამბეთ, გაახმოვანეთ თქვენი მოთხრობა. მოსწავლეები მოიფიქრებენ მოკლე ისტორიებს და, სურვილის მიხედვით, წარმოადგენენ კლასში. დანარჩენი მოსწავლეები ამოიცნობენ, რას გულისხმობდა „მთხრობელი“.

აქტივობა 3 (15.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ცხოველების გარდა კიდევ რა შეიძლებოდა ენახა წითელქუდას ტყეში? (მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათს, „წითელქუდა“ იხ. დანართი, გვ.3). მოსწავლეები ისაუბრებენ, ჩამოთვლიან: ხეები, ბუჩქები, ბალახი, ხავსი, სოკოები... მასწავლებელი მიმართავს მათ: მოდით, ახლა წარმოვადგინოთ

სცენა: „ხეები და ბუჩქები ტყეში“. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მცენარეები ტყეში, ზოგიერთი თქვენგანი ხეა, ზოგი – ბუჩქი. მოდით ვნახოთ, როგორ გამოიყურება ეს ტყე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ადგნენ ფეხზე. დადგნენ მერხების გვერდით. აძლევს მითითებას: არჩევანი თქვენზეა, ვინ იქნებით – ხე თუ ბუჩქი. ის, ვინც იქნება ხე, ხელებს მაღლა ასწევს და ხის რხევის იმიტაციას შეასრულებს, ხოლო ის, ვინც იქნება ბუჩქი, ჩაიმუხლებს და ხელებს მუხლებზე დაიდებს. მასწავლებელი ჩართავს მუსიკალურ კლიპს „წითელქუდა“ და მისი მინიშნებით მოსწავლეები განასახიერებენ ტყის სურათს. საინტერესოა, როგორ გადანაწილდება როლები, იქნებ ყველამ მოინდომოს, რომ შეასრულოს „ხის“ როლი (მათი ამბიციებიდან გამომდინარე ან სხვა რაიმე მოსაზრებით), ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ეკითხება: ჩვენ ისეთ ტყეში მოვხვდით, სადაც ბუჩქები არ არის? მართალია, ასეთი ტყეებიც არსებობს, მაგრამ ახლა ჩვენ ბუჩქებიც გვჭირდება. იგი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, განასახიერონ „ბუჩქის“ როლი. ტყის სცენის განმეორებით შესრულებისას მოსწავლეები „წითელქუდას“ მუსიკალური კლიპის ფონზე განასახიერებენ ხეებისა და ბუჩქების როლებს.

გაკვეთილები 16-18. მაღალი და დაბალი ბგერები ცხოველთა ინტონაციებში

გაკვეთილი 16

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, რიტმული ფიგურაცია, რეგისტრი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა, ვიდეომასალა, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორ სურათს: ხე და ბუჩქი (იხ. დანართი, გვ.3). იგი ეკითხება მათ: რომელია მაღალი და რომელი დაბალი: ხე თუ ბუჩქი? მოსწავლეები შესაბამისად უპასუხებენ. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს თამაშს: „ხე და ბუჩქი“. როდესაც მასწავლებელი იტყვის „ხე“, მოსწავლეები წამოდგებიან, ხელებს მაღლა ასწევენ და ხის რხევის იმიტაციას შეასრულებენ, ხოლო სიტყვაზე „ბუჩქი“, ჩაიმუხლებენ და ხელებს მუხლებზე დაიწყობენ. მასწავლებელს შეუძლია ზედიზედ რანდენიმეჯერ წარმოთქვას ერთი და იგივე სიტყვა, მაგალითად: მასწავლებლის სიტყვებზე: ბუჩქი, ბუჩქი, მოსწავლეები ფეხზე არ ადგებიან და ადგებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიგონებენ სიტყვას – „ხე“. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ მასწავლებლის მითითებას, შესაძლებელია გადავიდეთ მუსიკალურ მინიშნებებზეც. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ჩვენ მიერ მოსმენილი ცხოველების ხმებიდან რომელს აქვს მაღალი ანუ წვრილი ხმა? მოსწავლეები უპასუხებენ: ჩიტს, კატას... მოსწავლეები მასწავლებლის თხოვნით ახმოვანებენ ამ ხმებს. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება: რომელს

აქვს დაბალი ანუ ბოხი ხმა? ვეფხვს, დათვს... ისინი ახმოვანებენ ამ ხმებსაც.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: გაიხსენეთ ჩვენ მიერ აქამდე მოსმენილი ცხოველების ხმები და ჩამოთვალეთ, რომელი ცხოველების ხმებია ბოხი და ჟღერს დაბალ რეგისტრში, რომელი ცხოველების ხმები არის წვრილი და ჟღერს მაღალ რეგისტრში. მასწავლებელი დაფაზე გააკეთებს ცხრილს:

დაბალი რეგისტრი	მაღალი რეგისტრი
1	1
2	2
3	3

მოსწავლეები ჩამოთვლიან ცხოველებს, მათი კარნახით მასწავლებელი შეავსებს ცხრილს. სასურველია, რომ ცხოველების დასახელების დროს მოსწავლეებმა ხმაბაძვითი სიტყვებით გაახმოვანონ ამ ცხოველთა ხმები.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: შეგიძლიათ, გაიხსენოთ, კიდევ რომელი მოთხრობები, ზღაპრები, სიმღერები, მულტფილმები იცით მტაცებელი ცხოველის – მგლის შესახებ? სავარაუდოდ, მოსწავლეები ჩამოთვლიან მულტფილმებს: „აბა, დამაცადე“, „მგელი და 7 თიკანი“, ქართულ მულტფილმს „მგელი და კრავი“ და ა.შ. მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს ორ თემას (მგელი, თიკნები) მულტფილმიდან „მგელი და 7 თიკანი“. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი თემა, რომელი ცხოველის სახე-ხატს გვიხატავს და ახსნან, რის საფუძველზე გამოიტანეს ასეთი დასკვნა. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ: ზღაპრის რომელ პერსონაჟს აქვს მაღალი და რომელს – დაბალი ხმა.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ფრაგმენტს ამ მულტფილმიდან, რათა მოსწავლეებმა შეამოწმონ, სწორად ამოიცნეს ხმები თუ არა.

გაკვეთილი 17

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი, რეგისტრი, აღმავალი და დაღმავალი ინტონაციები

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, ფორტეპიანო, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლბელი მოსწავლეებს შეახსენებს თამაშს – „ხე და ბუჩქი“. მოსწავლეები გაიხსენებენ, რომ მასწავლებლის მინიშნებაზე – „ხე“, ისინი ფეხზე დგებოდნენ, რადგან ხე მაღალია, ხოლო მინიშნებაზე „ბუჩქი“, ჩაიმუხლებდნენ, რადგან ბუჩქი დაბალია. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ახლა გავარკვიოთ, როგორ შეესატყვისება ეს თამაში მუსიკალურ ბგერებს. მასწავლებელი მიდის ფორტეპიანოსთან და უხსნის მოსწავლეებს: როდესაც დავუკრავ მაღალ, წვრილ ბგერებს, ეს ნიშნავს „ხეს“ და თქვენ ფეხზე ადგე-

ბით, როდესაც დავუკრავ დაბალ, ბოხ ბგერებს, ეს ნიშნავს „ბუჩქს“ და თქვენ ჩაიმუხლებთ. მასწავლებელი ფორტეპიანოზე დიდი ინტერვალებით დაუკრავს რამდენიმე ბგერას. რომელია **მაღალი,** წვრილი, რომელი **დაბალი,** ბოხი? მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ფორტეპიანოს ბგერების მიხედვით მეტ-ნაკლებად გაერკვევიან ცნებებში დაბალი, მაღალი ბგერები, მუსიკალური მინიშნებებით ვიწყებთ თამაშს „ხე და ბუჩქი“ . მასწავლებელი ბგერებს თავდაპირველად უკრავს ნელა და დიდი ინტერვალებით. იგი თანდათან, ნელ-ნელა შეამცირებს ინტერვალებს მაღალ და დაბალ ბგერებს შორის. თუ მოსწავლეები სწრაფ რეაგირებას შეძლებენ ფორტეპიანოს დაბალ და მაღალ ბგერებზე, შესაძლებელია მასწავლებელმა ტემპიც ააჩქაროს. მასწავლებელი ინსტრუმენტზე იღებს რომელიმე ბგერას და ხელის ზევით-ქვევით მოძრაობით ხმით აძებნინებს მოსწავლეებს აღებულ ბგერას (სასურველია, შეძლებისდაგვარად, დაბალი რეგისტრიდან დაწყება ბოხი ხმით და თანდათან მიახლოება). ხელის აწევის დროს მოსწავლეები ხმას „აწვრილებენ“, ჩამოწევის დროს ხმას „აბოხებენ“. მასწავლებელი აჩერებს ხელს რაიმე სიმაღლეზე მაშინ, როდესაც მთელი კლასი ხმით იღებს იმ ბგერას, რომელიც ინსტრუმენტზე იყო აღებული.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად. იგი მოსწავლეებს ბუკებში გადაუგზავნის რამდენიმე ცხოველის ხმის სემპლებს (მაგ., ლომი, დათვი, მგელი, მელია, სპილო, ბაყაყი). მოსწავლეთა ამოცანაა: ცხოველთა ხმები ააჟღერონ რეგისტრების მიხედვით. ჯერ დაბალი, შემდეგ საშუალო რეგისტრის, ბოლოს მაღალი რეგისტრის ხმები. ჯგუფები ამ ნიშნით დაალაგებენ ხმებს და შექმნიან ცხოველთა ხმების კოლაჟს „ბოხიდან წვრილისკენ“. ჯგუფები მოახდენენ თავიანთი კოლაჟების პრეზენტაციას, კლასი იმსჯელებს, რამდენად სწორად შეასრულეს ჯგუფებმა დავალება.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რომელი ცხოველების ხმები მოვისმინეთ წინა აქტივობაში? რომელ ცხოველს ჰქონდა ყველაზე მაღალი ხმა? ახლა მე ვიმღერებ სიმღერას, თქვენ კი ამოიცანით, რომელ ცხოველს ეძღვნება სიმღერა. მასწავლებელი მღერის მ.ელოშვილის სიმღერას „აკანკური-ბაკანკური“. მოსწავლეები აყვებიან მას და შეისწავლიან სიმღერას.

გაკვეთილი 18

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, რეგისტრი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა.

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: იცით ზღაპარი სამი გოჭის შესახებ? თუ

რომელიმე მოსწავლემ იცის ეს ზღაპარი, ვთხოვოთ გვიამბოს. მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებული სემპლები ზღაპრის შინაარსის ძირითადი მომენტების შესაბამისად და მოსწავლეთა მონათხრობის მიხედვით გააჟღერებს ამ სემპლებს.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს ბუკებში გადაუგზავნის სემპლებს ზღაპრის – „სამი გოჭი“ – შესაბამისად. მოსწავლეები ამ სემპლებისაგან გააკეთებენ ხმების კოლაჟს „სამი გოჭი“. მოსწავლეები გააჟღერებენ თავიანთ ნამუშევრებს. შემდეგ მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ, ზღაპრის რომელ პერსონაჟებს აქვთ მაღალი და რომელს დაბალი ხმა.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ფრაგმენტებს ა. ბასილაიას მუსიკიდან „მგელი და კრავი“. 1. კრავის თემა; 2. მგლის თემა. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ნაცნობია თუ არა მათთვის ეს მუსიკა? ადრე ხომ არ მოუსმენიათ? სად მოუსმენიათ? შესაძლოა მოსწავლეებმა გაიხსენონ ანიმაციური ფილმი „მგელი და კრავი“. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: დაასახელეთ ამ ფრაგმენტების შემსრულებელი პერსონაჟები. განსაზღვრეთ, რომელ რეგისტრში სრულდება მოსმენილი ფრაგმენტები. თუ მოსწავლეები ვერ ამოიცნობენ მუსიკას და პერსონაჟებს, მაშინ მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს ფრაგმენტებს და ეკითხება: რომელ რეგისტრში ჟღერს პირველი ფრაგმენტი? რომელ რეგისტრში – მეორე ფრაგმენტი? თქვენი აზრით, რომელ პერსონაჟებს განასახიერებენ ამ ფრაგმენტების შემსრულებელი მომღერლები, ცხოველების თუ ადამიანების? რომელ ცხოველებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი დაბალი რეგისტრის ხმა, როგორიც მეორე ფრაგმენტში მოვისმინეთ? რომელ ცხოველებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი მაღალი რეგისტრის ხმა, როგორიც პირველ ფრაგმენტში მოვისმინეთ? რომელი ცხოველებისთვის დამახასიათებელი ინტონაციები გაჟღერდა მუსიკაში?

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და მსჯელობის გზით მიდიან სათანადო დასკვნამდე.

გაკვეთილები 19-20. კატა და მგელი – ვუკრავთ ჩასაბერ საკრავებზე

გაკვეთილი 19

დასამუშავებელი ცნებები: ინტონაცია, მოტივი, მელოდია, ტემპი, რეგისტრი

გამყვანი კითხვები:

რა ხერხით შეუძლია მუსიკას აღწეროს ცხოველთა გარეგნობა, ხმა ან ქცევა? მუს. დაწყ.(I).4,5,6.

როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1,2.

რა სიმბოლოებით შეიძლება მაღალი და დაბალი ბგერების აღნიშვნა? მუს.დაწყ.(I).3.

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, ფორტეპიანო, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, „ბუკები“, აუდიომასალა, ვიდეომასალა, ხმის გამაძლიერებელი (დინამიკი), პროექტორი, ეკრანი, თვალსაჩინოება (ქსეროასლები სახელმძღვანელოს დანართიდან).

მოთელვა (დაახლ. 5 წთ.).

აქტივობა 1 (15 წთ.).

მოთელვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს **ს. პროკოფიევის სიმფონიური ზღაპრის – „პეტია და მგლის“** მიხედვით შესრულებულ სურათებს (იხ. დანართი, გვ.4) და დასვამს კითხვებს: ყურადღებით დააკვირდით სურათებს და ამოიცანით, ვინ არიან ზღაპრის მოქმედი პირები? მოსწავლეები მასწავლებლის მინიშნებითა და დახმარებით ამოიცნობენ. შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ორი საკრავის სურათს (კლარნეტი, ვალტორნა. იხ. დანართი, გვ.4), მოასმენინებს ორ ფრაგმენტს აღნიშნული ზღაპრიდან „პეტია და მგელი“ – მგლის თემა, კატის თემა და სთხოვს განსაზღვრონ, ამ ორი თემიდან რომელშია ასახული კატის სახე-ხატი და რომელში – მგლის? ამ ორი საკრავიდან, რომელი ასრულებს კატის თემას და რომელი მგლის? (კატა – კლარნეტი. მგელი – ვალტორნა). მოსწავლეები იმსჯელებენ და მსჯელობის გზით ამოიცნობენ: მგელს უფრო ბოხი ხმა აქვს, ვიდრე კატას, ამიტომ ამ ორი საკრავიდან მგელს განასახიერებს ის საკრავი, რომელსაც უფრო ბოხი ხმა აქვს. მასწავლებელი აჩვენებს ვალტორნის სურათს და მიმართავს მოსწავლეებს: სწორედ ასეთი ბოხი ხმა აქვს ამ საკრავს – **ვალტორნას.** მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს მოსწავლეებს მგლის თემას. მოსწავლეები განაგრძობენ მსჯელობას: თუ ვალტორნა მგლის სახე-ხატს გვიხატავს, მაშინ კატის სახე-ხატს გამოხატავს მეორე საკრავი, რომელსაც ვალტორნასთან შედარებით უფრო მაღალი ხმები აქვს. მასწავლებელი აჩვენებს ამ საკრავის სურათს და მოსწავლეებს გააცნობს მის სახელწოდებას – კლარნეტი, სასურველია მასწავლებელმა დაფაზე დაწეროს საკრავების სახელები, რათა მოსწავლეებმა წარმოთქმისას არ დაამახინჯონ მათი სახელწოდებები.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს ორ საკრავზე: **კლარნეტზე** და **ვალტორნაზე**, კვლავ აჩვენებს კლარნეტისა და ვალტორნას სურათებს. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: კლარნეტი და ვალტორნა ჩასაბერი საკრავებია, რადგან ბგერა ამ საკრავებზე მიიღება ჰაერის ჩაბერვით. ადამიანის შექმნილი უძველესი საკრავები სწორედ ჩასაბერი საკრავები იყო. უძველესი ჩასაბერი საკრავები ხისგან მზადდებოდა. მოგვიანებით ადამიანებმა ლითონისაგან დაიწყეს საკრავების დამზადება. სწორედ ასეთი საკრავია ვალტორნა. დაახასიათეთ, როგორია ვალტორნას ბგერები? ძლიერი თუ სუსტი? (პასუხი: ვალტორნას ძლიერი და მკაფიო ხმა აქვს). დაბალი რეგისტრის ანუ ბოხი, თუ მაღალი რეგისტრის ანუ წვრილი? (პასუხი: ვალტორნას ბგერები ჟღერს დაბალ რეგისტრში), კლარნეტი კი ხის ჩასაბერ საკრავებს მიეკუთვნება. როგორი ბგერები აქვს მას ვალტორნასთან შედარებით? უფრო ბოხი თუ უფრო წვრილი? მას არა აქვს ისეთი ბოხი (დაბალი) რეგისტრის ბგერები, როგორც ვალტორნას. მაგრამ არც ძალიან წვრილი, მაღალი ბგერები, მისი ბგერები ჟღერს საშუალო რეგისტრში, ვალტორნას ბგერებთან შედარებით მისი ბგერები რბილად ჟღერს. მასწავლებელი კიდევ ერთხელ მოასმენინებს მოსწავლეებს კატისა და მგლის თემებს. მოსწავლეები იმსჯელებენ: როგორი ბგერები აქვთ ამ საკრავებს, როგორია მათი **ტემბრი**? სასიამოვნო მოსასმენია თუ არა ამ საკრავების ბგერები? მოსწავლეებმა უნდა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამ ორი საკრავის რეგისტრისა და ტემბრის შესახებ.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს ორ-ორ ბარათს: პატარა კვადრატებში ჩახატულია მოკლე ჰორიზონტალური ხაზები, ერთში – ქვემოთ, დაბალი ბგერის აღსანიშნავი სიმბოლო, მეორეში – ზემოთ, მაღალი ბგერის აღსანიშნავი სიმბოლო. ასე-

თი სიმბოლოები მათ უკვე გამოიყენეს პირველ კლასში დაბალი და მაღალი ბგერების აღსანიშნავად. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს: მარჯვენა ხელში დაიჭირეთ ბარათი, რომელზეც ხაზი ზემოთაა ჩახაზული, მარცხენაში კი ის ბარათი, რომელზეც ხაზი ქვემოთ არის ჩახაზული. როდესაც მე დავუკრავ მაღალ, წვრილ ბგერებს, თქვენ ასწევთ ბარათს, რომელშიც ხაზი ზემოთ არის ჩასმული (მარჯვენა ხელი), როდესაც დავუკრავ დაბალ, ბოხ ბგერებს, თქვენ ასწევთ ბარათს, რომელშიც ხაზი ქვემოთ არის ჩასმული (მარცხენა ხელი). მასწავლებელი მიდის ფორტეპიანოსთან და უკრავს ბგერებს თავდაპირველად ნელა, დიდი ინტერვალებით და ყურადღებით აკვირდება მოსწავლეთა რეაგირებას. მოსწავლეთა მხრიდან სწრაფი რეაგირების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია ააჩქაროს ტემპი. ასეთი სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოასმენინებს კატისა და მგლის თემებს სიმფონიური პოემიდან „პეტია და მგელი“. მოსწავლეები დაბალი და მაღალი ბგერების მოსმენისას რეაგირებენ ბარათებით.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შემდეგ გაკვეთილზე მოიტანონ: სხვადასხვა ზომის ორი პლასტმასის ცარიელი ბოთლი (პატარა, ორას მილიგრამიანი და დიდი, ლიტრიანი), სავარცხელი და „ფოლგა“ (პერგამენტის ქაღალდი), რომლებსაც გამოიყენებენ ხელნაკეთი ჩასაბერი საკრავების დასამზადებლად.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებელს

ვალტორნა და კლარნეტი

ვალტორნა ლითონის ჩასაბერი საკრავია. ინსტრუმენტის წინაპარი იყო ცხოველის დიდი ზომის რქა, რომლითაც მონადირეები ერთმანეთს ეხმიანებოდნენ ტყეში ნადირობის დროს, აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდებაც – ტყის რქა (გერმანული სიტყვიდან Waldhorn). იმისათვის, რომ ხმა შორს გავრცელებულიყი, რქას თანდათან აგრძელებდნენ, ხოლო რათა მოსახერხებელი ყოფილიყო მისი გამოყენება, მას გაუკეთეს ხვეულები. ერთ ხვეულს მეორე ემატებოდა, მეორეს მესამე და ა.შ. (იხ. დანართი, გვ. 4). დაახლოებით 350 წლის წინ ფრანგმა კომპოზიტორმა ჟან ბატისტ ლულიმ თავის ოპერაში პირველად გამოიყენა ვალტორნა. მას შემდეგ ეს საკრავი სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაში შევიდა. ორკესტრში ვალტორნა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, მას აქვს რბილი, დაბალი ხმა და შეუძლია გადმოსცეს არა მხოლოდ საზეიმო, არამედ სევდიანი განწყობაც. მისი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. ვალტორნაზე იშვიათად სრულდება სოლო პარტიები.

ვალტორნისაგან განსხვავებით **კლარნეტი** არის არა დახვეული, არამედ სწორი ფორმის და შედარებით მოკლე. ის დამზადებულია არა ლითონისაგან, არამედ ხისგან. საკრავის ფორმას და მასალას, რისგანაც ის მზადდება, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ლითონსა და ხეს ხომ სრულიად განსხვავებული ხმები აქვს, ამიტომ ძალიან განსხვავებულია ლითონისა და ხისგან დამზადებული საკრავების ხმებიც. მასალა და ფორმა განსაზღვრავს საკრავის ჟღერადობის ხასიათსა და ელფერს (**ტემბრს**). ვალტორნასთან შედარებით კლარნეტის ჟღერადობა უფრო რბილი, მღერადი და გამომსახველია. მასზე შესაძლებელია ბრწყინვალე, ვირტუოზული ნაწარმოებების შესრულება, ამიტომ იგი ხშირად გვევლინება, როგორც სოლო ინსტრუმენტი. ვალტორნასა და კლარნეტს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, ლითონისა და ხისგან დამზადებულ საკრავებს მაინც აქვს საერთო დამახასიათებელი ნიშანი: მათზე შეუძლებელია ერთდროულად ორი ან მეტი ბგერის დაკვრა (ისე, როგორც, მაგალითად, ფორტეპიანოზე). ისინი ერთხმიანი საკრავებია და ყოველ მათგანს შეუძლია მხოლოდ ერთხმიანი მელოდიის შესრულება. დახელოვნებულ, ოსტატ-შემსრულებელთა ხელში ჩასაბერი საკრავები ძალზე მრავალფეროვან, ამავე დროს ულამაზეს ბგერებს გამოსცემს.